სარგიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 16 ოქტომბერი 2003 №196 (1967) | ფასი 50 თეთრი



ვურგა დოლაბერიძე

ბარსელონა გაგოლავდა

იტალიელებმა არაქართული საქმე იკისრეს

რონალდინიომ და მისმა ბარსელონელმა დოსტებმა საგულდაგოლოდ მოჰკიდეს საქმეს ხელი და ჩვენთვის ნაცნობი პუხოველები ისე მიარღვ-მოარღვიეს, „კამპ ნოუს“ ინჩასობას რვაჯერ საგოლედ შეუტოკეს გული.

ჩვენ კი გული იმად გვწყდება, რომ უეფას თასს ადრიან ეტაპზევე გამოეთხოვნენ გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე. ქართველთა შოტლანდიურ-უკრაინული გუნდების ცოდვა იტალიელებმა დაიდეს. „დანდის“ „პერუჯა“ გაუსწორდა, „მეტალურგი“ კი „პარმამ“ 3:0 დაიბრიყვა.

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS ბარსელონიდან

რვა გოლში რონალდინიოს წილი ჰეთ თრიქია

მე ჩამოგიყვანთ ცნობილ ფრანგს

ბაირამ თუთუმლუმ საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი შეურჩია და ქორდანიას ფული შესთავაზა

იხილეთ მეოთხე გვერდი

REUTERS პერუჯიდან

პერუჯა — დანდი 1:0. გიორგი ნემსაძე და მისი შოტლანდიელი თანაგუნდელები იტალიიდან ხელმოცარულნი წავიდნენ

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

ავსტრალიიდან მოგება შემოთვალეს

სამოა 60:13 ურუგვაი ცოცხალი



ბორჯღალოსნებმა მფრინავი სამოელი „სუბიაკო ოვალზე“ ნახეს

„სამოას უნდა მოვუგოთ!“ — ავსტრალიიდან სრულიად ბორჯღალოსანთა სათქმელს ამბობს მათი ფეხმარდი გარემარბი მალხაზ ურჯუკაშვილი. კი ბატონო, მოვუგოთ, ჩვენც ეგ გვინდა და ეს გაგვიხარდება...

...მაგრამ, ერთი წუთით, ეს ის სამოა არაა, რაგბის ნესვა ბურთს მრგვალზე უკეთ რომ კენწლავს? სამოა ფართითაა პატარა და ღატაკი ქვეყანა, თორემ იქაური მორაგბეები ერთ დღეს უელსში რომ იმარჯვებენ, ორ კვირაში ახალ ზელანდიას ორ-სამ ლელოს დაუდებენ. რაღა წარსულში ვიქექოთ, გუშინ პერთში დაახლოებით ჩვენი ზომა-წონის, ან მცირედ ნაკლებ ურუგვაის 10 ლელო გაუტანეს და 60:13 გადაურბინეს.

მაგრამ მახოს და მისი თანამებრძოლების დარად ჩვენც დავძახოთ — „ბიჭებო, დაამარცხეთ სამოა!“ იქნებ მათ ვერც მოახერხონ ეს საძნელო საქმე, მაგრამ ახლა ხომ მთავარი ესაა — ბორჯღალოსნები თამაშამდე არ დამარცხდნენ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

REUTERS ნაიმეგენიდან

ნაიმეგენი — ვისლა. მასპინძელმა მაიკ ზონეფელდმა სტუმარი მარჩინ ბოკოკინსკი არ დაინდო

REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — პუხოვი. რონალდინიომ და მისმა თანაგუნდელებმა „პუხოვი“ დაბომბეს

REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ოლიმპია. ჰარი კიუელმა (მარცხნივ) სტუმრებს ერთი გოლი აჯობა

REUTERS ლანსიდან

ლანსი — ცემენტარნიცა. ჭუთაისის „ტორპედოს“ დამცველებმა ჯონ უტაკამ მაყედონიელებიც დაამწუხრა

REUTERS ლოკერენიდან

ლოკერენი — სიტი. ნიკოლა ანელკამ გადამწყვეტი გოლი

UEFA CUP — UEFA CUP

უეფას თასი

საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ესბიერგი (დანია) 1:1 *სპარტაკი (რუსეთი)* (0:2)
არისი (საბერძნეთი) 2:1 ზიმბრუ (მოლდოვა) (1:1)
პერუჯა (იტალია) 1:0 დანდი (შოტლანდია) (2:1)
პარმა (იტალია) 3:0 მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (1:1)
ტორპედო (რუსეთი) 1:1დ.დ.(3:2პენ. 1:1) ცსკა (ბულგარეთი) (1:1)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 0:0 *გაზიანთეპი (თურქეთი)* (0:1)
გროცლინი (პოლონეთი) 1:0 ჰერტა (გერმანია) (0:0)
ჰაიდუკი (ხორვატია) 0:0 გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:1)
ლევსკი (ბულგარეთი) 4:0 ჰაპოელი (რამათ განი, ისრაელი) (1:0)
დებრეცენი (უნგრეთი) 3:2 ვარტექსი (ხორვატია) (3:1)
დნიპრო (უკრაინა) 3:0 ჰამბურგი (გერმანია) (1:2)
ნორდსიელანდი (დანია) 0:1 *პანიონიოსი (საბერძნეთი)* (1:2)
გრაცერი (ავსტრია) 1:1 *ვოლერენგა (ნორვეგია)* (0:0)
შახტარი (უკრაინა) 2:3 *დინამო (რუმინეთი)* (0:2)
სლავია (ჩეხეთი) 2:1 სარტიდი (სერბეთი) (2:1)
ვარდარი (მაკედონია) 1:1 *რომა (იტალია)* (0:4)
ჟილინა (სლოვაკეთი) 0:4 *უტრეხტი (ჰოლანდია)* (0:2)
რუსენბორგი (ნორვეგია) 6:0 ვენტსპილსი (ლატვია) (4:1)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 1:1 *ბორდო (საფრანგეთი)* (1:2)
სტიაუა (რუმინეთი) 1:0 საუთჰემპტონი (ინგლისი) (1:1)
ლინი (ნორვეგია) 0:3 *პაოკ (საბერძნეთი)* (1:0)
მიოლდე (ნორვეგია) 3:1 ლეირია (პორტუგალია) (0:1)
პუბლიკუმი (სლოვენია) 2:2 *მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)* (1:2)
ტრაბზონი (თურქეთი) 2:3 *ვილიარეალი (ესპანეთი)* (0:0)
სოშო (საფრანგეთი) 2:0 მიუპა (ფინეთი) (1:0)
ბაზელი (შვეიცარია) 1:2დ.დ.(0:2) მალათია (თურქეთი) (2:0)
კოპენჰაგენი (დანია) 1:1დ.დ.(3:2პენ. 1:1) ფერენცვაროში (უნგრეთი) (1:1)
მალმიო (შვედეთი) 0:1 *სპორტინგი (პორტუგალია)* (0:2)
მტკ (უნგრეთი) 0:0 *დინამო (ხორვატია)* (1:3)
ბრედა (ჰოლანდია) 0:1 *ნიუკასლი (ინგლისი)* (0:5)
ქსამაქსი (შვეიცარია) 0:1 *ოსერი (საფრანგეთი)* (0:1)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 4:3 ოდენსე (დანია) (2:2)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 *ჰარუსი (შოტლანდია)* (0:2)
დორტმუნდი (გერმანია) 1:0 აუსტრია (ავსტრია) (2:1)
ლოკერენი (ბელგია) 0:1 *მანჩესტერ სიტი (ინგლისი)* (2:3)
ნაიმეგენი (ჰოლანდია) 1:2 *ვისლა (პოლონეთი)* (1:2)
ლანსი (საფრანგეთი) 5:0 ცემენტარნიცა (მაკედონია) (1:0)
უდინეზე (იტალია) 1:2 *ზალცბურგი (ავსტრია)* (1:0)
ლივერპული (ინგლისი) 3:0 ოლიმპია (სლოვენია) (1:1)
მალიორკა (ესპანეთი) 4:2 აპოელი (კვიპროსი) (2:1)
ბლექბერნი (ინგლისი) 1:1 *გენჩლერი (თურქეთი)* (1:3)
ბარსელონა (ესპანეთი) 8:0 პუხოვი (სლოვაკეთი) (1:1)
ვალენსია (ესპანეთი) 1:0 აიკ (შვედეთი) (1:0)
ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 ლუვიე (ბელგია) (1:1)

იტალია

სერია B. IX ტური

ასკოლი 2:1 ვენეცია
ატალანტა 1:0 პესკარა
ჯენოა 4:2 ალბინოლეფე
ლივორნო 1:1 ბარი
მესინა 2:0 პიაჩენცა
პალერმო 2:0 ფიორენტინა
სალერნიტანა 1:0 აველინო
ტერნანა 3:1 კატანია
ტორინო 4:2 კალიარი
ტრევიზო 0:1 ნაპოლი
ტრიესტინა 2:2 ვერონა
ვიჩენცა 0:1 კომო

შვეიცარია

სუპერლიგა. XII ტური

ციურიხი 0:2 იანგ ბოისი

ინგლისი

I დივიზიონი. XIV ტური

ძოვენთრი 1:0 უიმბლდონი
ვესტ ჰემი 1:1 ნორვიჩი

გერმანია

ჩემპიონთა ლიგა. გადადებული მატჩი

შალკე (მ) 1:2 ზანტატ პაული

ნორვეგია

I დივიზიონი. XXVII ტური

ბორნ ჰორტენი 2:2 ჰაუგესუნდი
სტარტი 5:0 სკეიდი

ფინეთი

ჭემპიონატი. გადადებული მატჩი

ტამპერე 0:0 კტპ

სლოვენია

თასის II ეტაპი

ესენიცე 3:1 ველენიე
ლიუბლიანა 1:0დ.დ.(0:0) ბელა კრაინა

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის
ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
16 ოქტომბერი
მეექვსე ტურის გადადებული მატჩი

ამერი — ჩიხურა
თბილისი — საჩხერე

დასაწყისი 16 საათზე
დასწრება უფასოა

ორი ჟოაო ტორპედოს

საქართველოში ახალი უცხოელი გამოჩნდა. 49 წლის ბრაზილიელი ჟოაო პაულუ დე კამპუში ქუთაისის „ტორპედოს“ გაწვრთნის. მას 35 წლის თანამემამულე, ფიზმომზადების სპეციალისტი ჟოაო კარლუშ მარტინშ რეიში დაეხმარება. „ტორპედომდე“ მათ ბრაზილიაში, მექსიკასა და პორტუგალიაში უმუშავიათ.

ბრაზილიელები საქართველოში გუშინწინ ჩამოფრინდნენ. „ტორპედოს“ წარმომადგენლის გარდა თბილისის აეროპორტში მათ „დინამოელი კარლოს და როჩაც დახვდა. როგორც გავიგეთ, დუ კამპუში და კარლოსი საკმაოდ ახლო მეგობრები ყოფილან.

გუშინ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ბრაზილიელი მწვრთნელები ფეხბურთელებს წარუდგინა და პირველი ვარჯიშიც ჩატარდა. უცხოელთა თქმით, ცოტა ხანს ისინი დღეს არსებულ კონტინგენტს დააკვირდებიან და თუ საჭირო გახდა, რამდენიმე ბრაზილიელ ფეხბურთელსაც ჩამოიყვანენ. ერთი სიტყვით, გაახლებული „ტორპედო“ კვლავ სიახლეების მოლოდინშია...

ერთი შეხედვით კარგი კაცები

ბაბუნაშვილს პირველი ბრაზილიური მოეწონა



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

შოთა ბაბუნაშვილი (ბურთით) ახალ მწვრთნელებს აკვირდება

საქართველოს სამგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოში“ მომხდარ სიახლეებზე გუშინდელ „სარბიელშიც“ გამცნეთ. რიონისპირელებს ამიერიდან ბრაზილიელი სპეციალისტი გაწვრთნის. თუმც ჟოაო პაულო დე კამპუში ქუთაისში მარტო არ იქნება – მას მისივე თანამემამულე დაეხმარება გუნდის გაწვრთნაში. უახლოეს მომავალში კი „ტორპედოში“ ეგებ ბრაზილიელი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ.

ერთი სიტყვით, ქუთათურ-ბრაზილიურ ამბებზე „ტორპედოს“ ერთ-ერთ ლიდერ შოთა ბაბუნაშვილს გავესაუბრეთ. გუშინ „ტორპედომ“ პირველად ივარჯიშა ბრაზილიელი მწვრთნელების ხელმძღვანელობით და, ცხადია, შოთას უპირველესად ამაზე დავეკითხეთ

— ახლახან დამთავრდა ვარჯიში. ბრაზილიელებმა ერთი შეხედვით საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— რაიმე სიახლე თუ იყო ვარჯიშში?

— ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშეთ და სულ ბურთთან ერთად. ისე, საინტერესო იყო.

— როგორც ვატყობ, უკმაყოფილო არ ხარ...

— ჰო, ეგრეა. კარგი პიროვნებები ჩანან და იმედი მაქვს, „ტორპედოს“ დიდად დაეხმარებიან.

— კონკრეტულად თუ იცი მათ შესახებ რამე?

— როგორც გავიგე, ძირითადად ბრაზილიაში და მექსიკაში უმუშავიათ, თან სულ ერთად. მეორე ფიზმომზადების სპეციალისტია.

— ენობრივი ბარიერი პრობლემა არ იქნება?

— რა ვიცი. ახლა ბრაზილიელების თანმხლები რუსი გვეხმარება, რომელიც ალბათ ერთი კვირით გაჩერდება ქუთაისში, მერე კი ქართველი თარჯიმნის მოწვევას აპირებენ. ვფიქრობ, ეს დიდი პრობლემა არ უნდა იყოს.

— ესე იგი, პირველი შთაბეჭდილებები კარგია. ახლა მთავარი შედეგია, მით უმეტეს, „ტორპედო“ წლეულს საკმაოდ სუსტად თამაშობს...

— ჰო, შედეგი, ცხადია, უმთავრესია. რა ვიცი, მგონი, ფეხბურთელების ჩამოყვანასაც აპირებენ და ვნახოთ, რა როგორ იქნება. ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკია, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, ქუთაისში ლეგიონერებს კიდევ თუ ნახავთ.

— „ბათუმთან“ უკვე ბრაზილიელები უთავაკაცებენ გუნდს?

— მგონი, კი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რადგან ისინი გვავარჯიშებენ, ალბათ თამაშზეც გვიხელმძღვანელებენ.

— თავად „ტორპედოს“ ღლევანდელობაზე რას იტყვი?

— ძველებურად ვერ ვთამაშობთ, მაგრამ ექვსეულში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ. სხვაგვარად წარმოუდგენელია.

— ელოდი, რომ ასე გაგიჭირდებოდათ?

— დაკარგული ჯერ არაფერია. კონკურენტებს უნდა ვაჯობოთ და ექვსეულში შევიდეთ. დანარჩენი მერე გამოჩნდება.

— ჩემპიონობის შანსი რომელ გუნდს აქვს?

— „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“.

— რომელს გამოარჩევ?

— უფრო „დინამოს“. ჩემი აზრით, ჩემპიონი „დინამო“ გახდება.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს სამგზის ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ კვლავ უცხოელ მწვრთნელს ანდო თავი. ქუთაისელებს ამ დღეებში უკრაინელი შემტევი ანდრი პოროშინიც დაუბრუნდათ, რომელიც სამშობლოში იყო ტრავმის მოსაშუშებლად. პოროშინს საღორიის ბაზაზე ტელეფონით მივაწვდინეთ ხმა

ცალფეხა პოროშინის სიტყვა

მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის

— ახლა ნორმალურად ვარ, მაგრამ მუხლი ცოტა კიდევ მაწუხებს. დავბრუნდი, რათა „ტორპედოს“ დაეხმარო — გუნდი ქვედა ადგილებზეა და ზევით უნდა წავიდეს. მუხლის გვერდითი მყესი გამიწყდა და ოპერაციაზე უარი ვთქვი, რადგან ასეთ შემთხვევაში კიდევ ორი თვე მომიწევდა დასვენება. მოკლედ, მყესი ლაზერით ვიმკურნალე. მუხლის სახსარიც დაზიანებული მქონდა, ექიმის რჩევით, კიდევ ერთი თვე უნდა მომეცადა, მაგრამ „ტორპედოსთვის“ თამაში ვარჩიე.

— „ტორპედოს“ ბრაზილიელ მწვრთნელებზე რას იტყვი?

— ისინი ჩვენ კლუბის ხელმძღვანელობამ წარმოგვიდგინა. მერე ბრაზილიელებმა გვავარჯიშეს და ეგ იყო. კრება ან რაიმე კონკრეტული საუბარი ბრაზილიელებთან ჯერ არ გვქონია და ერთი ვარჯიშით დასკვნებს ვერ გამოიტან.

— კლუბის ხელმძღვანელობასთან თუ გქონდათ საუბარი „ტორპედოს“ საამსეზონო მიზნებზე?

— ჯერ ექვსეულში უნდა მოვხვდეთ, მერე მედლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

— მედლებისთვის, მაგრამ არა ჩემპიონობისთვის?

— მედალი ხანდახან ოქროსიც არის.

— საამსეზონოდ „ტორპედო“ ზურაბ იონანიძემ დატოვა, მანამდე რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემაც, შევსება კი „ტორპედომ“ ძალიან მცირე მიიღო და მაინც მედლები?

— იონანიძე მართლაც დიდი ძალა იყო „ტორპედოსთვის“, მაგრამ რა გაეწყობა — ეს ცხოვრებაა, ჩვენ კი მაინც მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

— „ტორპედოს“ ყოფილი მწვრთნელი, თქვენი თანამემამულე ალექსანდრ შტელინი არ შეგხვიანებიათ?

—მან მითხრა, დავიკავშირდებიო, თუმცა არ დაურეკავს. მაგრამ აქ საწყენი არაფერია — ყველას თავისი ცხოვრება აქვს. თანაც შტელინს ამ ცოტა ხნის წინ უფროსი შვილი დაეღუპა.

— „ტორპედოში“ მესამე სეზონს ატარებ — რატომ, რადგან ღმერთი სამობითაა?

— ეგრეა, მაგრამ ისიცაა, რომ კონტრაქტი 8 თვეში მეწურება და ვალდებული ვარ, ამ გუნდის ღირსება დავიცვა, მთელი ჯანი შევალიო „ტორპედოს“.

— როდის იქნებით სრულ მზადყოფნაში?

— ალბათ მაშინ, როცა გუნდები ექვსეულებად დაიყოფიან. საქმე ისაა, რომ როცა მარჯვენათი ვურტყამ ბურთს, ტკივილს ისევ ვგრძნობ. სხვა მხრივ, კარგად ვარ, ფიზიკურად მომზადებული გახლავართ და თუ მწვრთნელი და ხელმძღვანელობა ისურვებს, უახლოეს ტურებში ცალი ფეხითაც ვითამაშებ.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

ანდრი პოროშინმა (№15) „ტორპედოს“ ერთგულება შეპფიცა

ვიბაირამოთ?!

თუთუმლუ საქართველოს ნაკრებისთვის ფრანგ მწვრთნელს და ფულს გამოდის



ბაირამ თუთუმლუსი ფოტო

ცნობილ თურქ საფეხბურთო აგენტ ბაირამ თუთუმლუსთან მცირე ინტერვიუ ამ ცოტა ხნის წინ გაახლეთ. გუშინ კი თუთუმლუს თურქეთში დავურეკეთ და საინტერესო ამბებიც შევიტყვეთ.

— თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პროექტი შესთავაზეთ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ პროექტზე?

— ჩემი სურვილია, ეს პროექტი 2 ან 4 წლიანი იყოს.

— პროექტი ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევას რომ მოიცავს, ეს არც ჩვენს წინა ინტერვიუში დაგიმალავთ — შეგიძლიათ ახლა რაიმე კონკრეტული გვითხრათ?

— ჯერ ვერა, რადგან მე პატივს ვცემ თქვენს ფეხბურთის ფედერაციას.

— გავიგეთ, რომ პროექტი ერთობლივია, ანუ ნაკრების უცხოელი მწვრთნელის ჯამარიგისთვის თქვენც გამოხვალთ ფულს.

— ეს მართლაც ასეა, მზად ვარ, ამ საქმეში ჩემი ფული ჩავდო.

— ისიც გავიგეთ, რომ თქვენ საქართველოში ფრანგი მწვრთნელის ჩამოყვანას აპირებთ — ვინ იქნება ის, ლუის ფერნანდესი, ჟან ტიგანა, თუ...

— მე თქვენი ქვეყანა და ფეხბურთი ძალიან მიყვარს და მართლაც სახელიან ადამიანს შევარჩევ თქვენი ნაკრებისთვის. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. თბილისში ორ კვირაში ჩამოვალ.

დავით თავართქილაძე

არველაძემ მუხლი გაშალა

აიაქსური ტანდემი არ გამოვა



ბადრი კვირკელიას ფოტო

სამშაბათს, 21 ოქტომბერს ჩემპიონთა ლიგა განახლდება. არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსს“ კი მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ელის — შინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლებს. ამ თამაშს მთელი შოტლანდია სულმოუთქმელად ელის — სქოთურ-ინგლისური დაპირისპირების ამბავი ხომ მოგეხსენებათ. ითამაშებს „მანჩესტერთან“ შოთა არველაძე? ამ კითხვაზე თავად არველაძე პასუხობს, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ გლაზგოში.

— დღეს იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდთან ერთად პირველად ვივარჯიშე. მარცხენა მუხლი ოდნავ მაწუხებს, მაგრამ კვირას „მოზერუელის“ წინააღმდეგ ალბათ ვითამაშებ. ისე აღარ მაწუხებს მუხლი, რომ გამაყუჩებლებით ვერ ვითამაშო. მოკლედ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, სამანჩესტეროდ მზად ვიქნები. სამწუხაროდ „მანჩესტერთან“ არ გვეყოლება რონალდ დე ბური. მან ტრავმის შემდეგ ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და ველარ ვარჯიშობს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა „შტუტგარტთან“ დაშავებული მცველი ფერნანდო რიკსენი.

დავით თავართქილაძე

რატომ თამაშობენ ასე ნელა?

ჟოაოს ქუთაისი კარლოსმაც ურჩია

ქუთაისის „ტორპედო“ და ბრაზილიელი მწვრთნელები დღეს ყველაზე საინტერესო თემაა ქართულ ფეხბურთში. ჟოაო პაულო დუ კამპუშის სამწვრთნელო სტაჟზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არც მთლად ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ მოქცეული — „ტორპედოს“ ახალი თავკაცის მეგობარი თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელი კარლოსი გამოდგა და ჩვენც ცხადია, მას შევეხმიანეთ



— ჟოაო პაულო დუ კამპუშს რამდენიმე წელია ვიცნობ. ის „ინტერნასიონალ დე მეირას“ მწვრთნელი იყო, თუ არ ვცდები, 1995 წელს. მე მაშინ სხვა გუნდში ვთამაშობდი. ძალიან კარგი პიროვნებაა. როგორც ვიცი, აქ ჩამოსვლამდეც „ინტერნასიონალში“ მუშაობდა.

— აეროპორტში შენც დახვდი...

— მეგობრები ვართ და საჭიროდ ჩავთვალე, რომ მეც დავხვედროდი.

— **როგორი მწვრთნელია?**

— კარგი სახელი აქვს. კონტრშეტევებზე თამაში უყვარს და ვფიქრობ, „ტორპედოს“ დიდ სამსახურს გაუწევს.

— **ხომ არ იცი, „ტორპედოში“ როგორ მოხვდა?**

— როგორც მითხრა, ერთმა გერმანელი წარმოშობის ბრაზილიელმა დააკავშირა „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძესთან. რაღაცეები მეც გამომკითხა და თავადაც ხედავთ, ამ წინადადებას დათანხმდა.

— **რა გკითხა?**

— აინტერესებდა როგორი ქვეყანაა საქართველო და როგორი გუნდია „ტორპედო“. ყველაფერი ავუხსენი. ალბათ, მოეწონა კიდეც. სხვაგვარად არც ჩამოვიდოდა.

— **„ტორპედოს“ თამაში ნანახი აქვს?**

— ვიდეოფირზე უნახავს „ტორპედოს“ ესენგეს და უეფას თასზე ჩატარებული მატჩები.

— **მერე რა შთაბეჭდილება დარჩა?**

— გაკვირვებულმა მკითხა, ასე ნელა რატომ თამაშობენო. მეც ვუპასუხე, საქართველოს ჩემპიონატში ძირითადად ასეაო.

— **ესე იგი, „ტორპედოს“ არჩევანი მოგწონს?**

— ვფიქრობ, ძალიან კარგია, რომ ჟოაო პაულო საქართველოში ჩამოვიდა. მას უყვარს ამბიციური და ტექნიკური გუნდები. „ტორპედო“ ალბათ უფრო ძლიერი გახდება. ჟოაოს ეს შეუძლია.

კახა შალამბერიძე

ბრაზილიელ ჟოაო პაულუ დუ კამპუშამდე ქუთაისის „ტორპედოს“ სოსო ფრუიძე წვრთნიდა, რომელიც დროებით მისივე თანაშემწე გელა კიკალეიშვილმა შეცვალა. ახლა სოსო ფრუიძე უმუშევარია — მისი და „ტორპედოს“ გზები გაიყარა.

ვფიქრობთ, „ტორპედოში“ მომხდარ ცვლილებებზე უინტერესო არც ფრუიძის აზრი უნდა იყოს. რიონისპირელთა ყოფილ მწვრთნელს გუშინ დავუკავშირდით

ორ ტურში მნახავთ

სოსო ფრუიძემ იცის ტორპედოს რა სტკივა



ბადრი კვირკელიას ფოტო

— **„ტორპედოში“ მომხდარი ამბები გეცოდინებათ...**

— ზუსტად ნამდვილად არ ვიცი, ვინ ჩამოიყვანეს. გავიგე, ბრაზილიელები არიან. კარგია, თუ ფეხბურთის მცოდნე ხალხია და გუნდს დაეხმარებიან. მგონი, ფეხბურთელებიც ჩამოიყვანეს. „ტორპედოს“ წარმატებები გამიხარდება.

— **როგორც ვიცით, ფეხბურთელები ჯერ არ ჩამოსულან...**

— ვერაფერს გეტყვით. შეიძლება, ვცდები. უბრალოდ, გავიგე, რომ ორი თუ სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს.

— **გასაგებია. თქვენი და „ტორპედოს“ გზები რატომ გაიყარა?**

— ასე გადაწყვიტა კლუბის ხელმძღვანელობამ. გუნდის გაწვრთნაში ბოლოს გელა კიკალეიშვილს ვეხმარებოდი, მაგრამ ახლა „ტორპედოში“ არ ვარ.

— **თქვენი აზრით, ბრაზილიელი მწვრთნელი გუნდს პრობლემებს მოუხსნის.**

— „ტორპედოს“ პრობლემა მწვრთნელი არ არის. პრობლემა ფეხბურთელებია. გუნდის კონტინგენტი არ იძლევა მეტის საშუალებას. მწვრთნელი ვერაფერს უშველის, თუ შემადგენლობა არ გაძლიერდა.

— **და ამის გამო თამაშობს „ტორპედო“ სუსტად?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს უმთავრესი მიზეზია. ჩვენ არ ვიცოდით, რას ვაკეთებდით. თუ გუნდის გაახალგაზრდავება გვინდა, ამისთვის სხვა რამეა საჭირო. თუ ჩემპიონობა — უფრო მეტი. გუნდის გაკეთება იოლი ნაღდად არაა.

— **კი მაგრამ, გასულ წლებში რა ხდებოდა? გუნდი ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონი, მოიგო თასი...**

— ამაზე ფიქრი დამღუპველია. საქმეც ეგ არის, რომ ყოველი სეზონის წინ ადრე მოპოვებული ჩემპიონობა უნდა დაივიწყო. როცა „ტორპედო“ ჩემპიონი ხდებოდა, მაშინ განწყობაც საჩემპიონო იყო და მონდომებაც. წლეულს ჩვენ ეს მიზანი არ გვქონდა. გუნდის გაახალგაზრდავებაზე იყო საუბარი და თან ექვსეულშიც უნდა შევსულიყავით. საამისოდ მუშაობა იყო საჭირო. მაგალითად, წყალტუბოდან რამდენიმე ფეხბურთელის გადმოყვანა გვინდოდა და ვერ შევძელით. ასე აება პრობლემა პრობლემას და...

— **ახლა რას აპირებთ?**

— ჯერჯერობით არაფერს. შემოთავაზებები არის და ვნახოთ, შესაძლოა, უახლოეს ტურებში რომელიმე გუნდი ჩავიბარო.

— **თუ საიდუმლო არ არის, რომელი კლუბები გიწვევენ?**

— წინასწარ ვერ გეტყვით. ჯერ გარკვეული არაფერია.

კახა შალამბერიძე

ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ
დაიწყო 1990-1996 წლებში
დაბადებული ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატეხილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘᲐ

REUTERS ბირმინგემიდან

ჩელსელი ჯერემი ბურთს ჰაერში მუხლით შესწვდა

ჩელსი	8	6	2	0	18:7	20
არსენალი	8	6	2	0	16:6	20
მანჩესტერი	8	6	1	1	16:3	19
ბირმინგემი	8	4	3	1	8:5	15
ფულემი	7	4	2	1	15:9	14
სიტი	8	3	3	2	14:9	12
საუთჰემპტონი	8	3	3	2	8:5	12
ლივერპული	8	3	2	3	12:9	11
ჩარლტონი	8	3	2	3	12:12	11
პორტსმუთი	8	2	3	3	10:9	9
ბლეკბერნი	8	2	2	4	15:16	8
ევერტონი	8	2	2	4	12:14	8
ასტონ ვილა	8	2	2	4	8:12	8
ტოტენჰემი	8	2	2	4	8:12	8
ბოლტონი	8	1	5	2	6:12	8
ლიდსი	8	2	2	4	8:17	8
მიდლსბრო	8	2	1	5	7:14	7
ნიუკასლი	7	1	3	3	8:10	6
ლესტერი	8	1	2	5	10:15	5
ვულვზი	8	1	2	5	3:18	5

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ XIV ᲢᲣᲠᲘ

ᲫᲠᲘᲣ 2:2 ᲑᲠᲔᲓᲤᲝᲠᲓᲘ

1:0 ჯონსი (46), 2:0 ეშტონი (49), 2:1 ევანსი (55), 2:2 მაირჰედი (87)

ᲘᲤᲡᲕᲘᲩᲘ 6:1 ᲑᲐᲠᲜᲚᲘ

1:0, 2:0 კუნაგო (20, 22), 3:0 რაიტი (28), 4:0 ბარტ-უილიამსი (30), 5:0 ჩეპლოუ (40), 6:1 ფეისი (49), 6:1 კუქი (90)

ᲕᲘᲚᲣᲝᲚᲘ 0:1 ᲞᲠᲔᲡᲢᲝᲜᲘ

0:1 მაკკენა (51)

ᲣᲝᲢᲤᲝᲠᲓᲘ 1:1 ᲣᲝᲚᲡᲝᲚᲘ

0:1 ოსბორნი (40), 1:1 ბაირდი (61)

ᲕᲔᲡᲢ ᲑᲠᲝᲛᲕᲘᲩᲘ 0:2 ᲨᲔᲤᲘᲚᲓ ᲘᲣᲜ.

0:1 ტონგი (9), 0:2 უორდი (37)

ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲔᲛᲘ 2:2 ᲠᲝᲢᲔᲠᲰᲔᲛᲘ

1:0, 2:0 ჰერვუდი (31, 37), 2:1 ბიფილდი (51), 2:2 ბატლერი (56)

ᲙᲠ. ᲠᲐᲚᲐᲡᲘ 1:1 ᲓᲔᲠᲑᲘ ᲫᲐᲣᲜᲗᲘ

1:0 ბატერფაილდი (45), 1:1 ზაანო (74)

ᲠᲔᲓᲘᲜᲒᲘ 2:1 ᲯᲘᲚᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ

1:0 მიურეი (54), 1:1 კინგი (73), 2:1 სიდუელი (85)

ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲜᲓᲘ 0:0 ᲙᲐᲠᲓᲘᲤᲘ

ᲣᲘᲒᲐᲜᲘ 2:1 ᲡᲢᲝᲙᲘ

0:1 ნოელ-უილიამსი (40), 1:1, 2:1 ჰორსფილდი (56, 69)

შეფილდი	12	8	2	2	22:11	26
უიგანი	13	7	5	1	19:10	26
ვესტ ბრომვიჩი	12	8	1	3	19:12	25
სანდერლენდი	12	7	2	3	18:10	23
ვესტ ჰემი	11	7	2	2	14:6	23
ნორვიჩი	11	6	3	2	17:12	21
იფსვიჩი	13	6	2	5	23:18	20
მილუოლი	14	5	5	4	17:15	20
პრესტონი	12	6	1	5	16:13	19
რედინგი	12	5	3	4	18:14	18
ნოტინგემი	12	5	2	5	19:16	17
ბარნლი	13	5	2	6	20:25	17
კარდიფი	12	4	4	4	20:14	16
კრ. პალასი	12	4	3	5	16:18	15
სტოკი	13	4	3	6	16:18	15
დერბი	13	3	5	5	14:20	14
ქრიუ	12	4	2	6	11:17	14
უოლსოლი	12	3	4	5	14:15	13
ჯილინგემი	13	3	4	6	13:22	13
ქოვენთრი	10	3	3	4	15:16	12
ბრედფორდი	13	3	3	7	13:22	12
როტერჰემი	13	2	5	6	9:21	11
უოტფორდი	11	2	3	6	11:15	9
უიმბლდონი	11	1	1	9	13:27	4

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲐ
ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲔᲛᲘ 0:0 ᲩᲔᲚᲡᲘ

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲔᲛᲘ: მაიკ ტეილორი, ტებილი, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, მ. ჯონსონი, ა. სისე, კლემენსი (ბ. ჰიუზი 78), ლაზარიდისი, დიუგარი (ჯონი 85), დ. დანი
მწვრთნელი: სტივენ ბრიუსი
ᲩᲔᲚᲡᲘ: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, ტერი, ჰათი, ბრიჯი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (დაფი 66), ჯერემი, კრესპო, ჰასელბაინკი (გუდიონსენი 78)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დიუგარი, სისე, ტერი, ჰათი, გ. ჯონსონი, მაკელელე
მსაჯი: ბერი
29 460 მაყურებელი

ლონდონურმა „ჩელსიმ“ ლონდონურიე „არსენალს“ ცხრილში პირველობა ჩამოართვა. „არისტოკრატებმა“ ლიდერობა ბირმინგემში გახერხებული ფრის წყალობით მოახერხეს. ისინი „მეთოფეებს“ ოდენ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ და მოგება რომ მოეხერხებინათ, ცხადია, ქულებითაც გადაუსწრებდნენ. და მთავარი: „ჩელსი“ და „არსენალი“ ამ შაბათს ხვდებიან ერთმანეთს და ბრძოლა აი, ის იქნება.

ბირმინგემში კი, ისე რა თამაში იყო. იმას ვგულისხმობთ, რომ მეკარეებს ბევრი საქმე არ ჰქონიათ და სახიფათო მომენტების გარეშე აბა, რა თამაში იქნებოდა. ლონდონელთა კარს მასპინძლები საერთოდ არ დამუქრებიან, რადგან მთელი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდათ გადატანილი და კინკილა ფორვარდმა კრისტოფ დუგარიმ მარტოკამ ვერაფერი მოახერხა.

მაიკ ტეილორის კართან კი მეორე ტაიმში ორიოდე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელთა სულისჩამდგმელები ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და ფრენკ ლამპარდი გახლდნენ, თუმცა ტეილორმა ორივე შემთხვევაში იყოჩაღა.

„ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო — თქვა კლაუდიო რანიერიმ — განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო შეხვედრა „არსენალთან“ გვაქვს. პირველ ადგილზე გადასვლამ სიმხნევე შეგვმატა და კარგი რეპუტაციაც გამოგვივიდა. თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. მართალია, გოლის გატანა ვერ შევძელით, მაგრამ როცა მეტოქე ხუთი მცველით გეთამაშება, თავისუფალი სივრცის პოვნა თითქმის შეუძლებელია.“

„ბირმინგემის“ მენეჯერმა სტივ ბრიუსმა კი თქვა, „ჩელსი“ დიდი გუნდია და მასთან ქულის მოპოვება ურიგო შედეგი არ არისო.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ „ჩელსიდან“ „ბირმინგემში“ იჯარით გაშვებულ მაიკლ ფორსელს შეთანხმების თანახმად ლონდონელთა წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

რიო ფერდინანდს პირველი გარი ნევილი გამოექომაგა

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

რიო, როგორც ერიკი

ვინც რიო ფერდინანდის ამბავიციის, შეუძლია წერილის კითხვა მეორე აბზაციდან დაიწყოს, ხოლო ვინც არა, მოკლედ ვუტყვით: „მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის მცველ რიო ფერდინანდს 23 სექტემბერს, ვარჯიშის შემდეგ დოპინგ ტესტი უნდა გაევლო, მაგრამ დაავიწყდა და ანალიზი 36 საათის მერეღა გაიარა. გამოვიდა, რომ ფერდინანდმა გამოკვლევას საეჭვოდ აარიდა თავი, რის გამოც, წინა კვირაში, უკვე ინგლისის ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოძახებული ფერდინანდი ამ შეკრებიდან მოხსნეს. პროტესტის ნიშნად ნაკრების ფეხბურთელებმა მცირეხნიანი გაფიცვა მოაწყეს.

ირკვევა, რომ ნაკრების ფეხბურთელთა გაფიცვის მოთაკე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი გარი ნევილი ყოფილა.

„ტესტი სხვა ფეხბურთელებსაც გაუცდენიათ, მაგრამ არ დაუსჯიათ, რიო კი ისე დასჯეს, რომ თავისი არგუმენტების წარმოჩენის, მდგომარეობის ახსნის საშუალებაც არ მისცეს. განა ეს გასამართლებამდე დასჯა არ იყო? დიახ, რიო შეცდა, მაგრამ მის ადგილას ნებისმიერ სხვას ანონიმურობის გარანტიას მისცემდნენ. ჩვენ კი, როგორც მეგობრებმა და თანაგუნდელებმა მხარი დავუჭირეთ, რაც ძალიან ლოგიკურია. ერთი, უბრალო გულმავიწყობის გამო რიო და მისი ოჯახი ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. ჩვენ, „იუნაიტედის“ ფეხბურთელები ვგრძნობდით, რომ რაღაც უნდა გვეღონა და ძალიან გაგვეხარდა სხვებიც გვერდით რომ დაგვიდგნენ“— განაცხადა ნევილმა.

ამასობაში ფერდინანდის დასჯის მადა ფიფას გაეხსნა. ამ კვირის მიწურულს მსოფლიო ფეხბურთის მმართველნი აღმასკომის სხდომას ყატარში ატარებენ და სავარაუდოდ ინგლისელის ამბავსაც იქ გადაწყვეტენ.

მიშელ დოჟი, ფიფას ანტისადოპინგო საქმეთა ხელმძღვანელი:

„საქმე ძალიან სერიოზულია. ფერდინანდი აშკარად უნდა დაისაჯოს, ოღონდ ფიფა ჯერ ინგლისელებს დაელოდება. თუ ისინი გადაწყვეტილებას ვერ ძიღებენ, მაშინ გადაწყვეტილების მიღება ჩვენ მოგვიწევს“.

ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა დევიდ გილმა ბრძანა, რომ რაგინდა რა სასჯელის შემთხვევაში კლუბი თავის ფეხბურთელს მხარში დაუდგება, როგორც ეს 1995 წელს, ერიკ კანტონას დისკვალიფიკაციის დროს გააკეთა:

„მწვრთნელი და თანაგუნდელები მას გუნდში, გვერდით იყოლიებენ“.

არადა, თუ დადგინდება, რომ რიო ფერდინანდმა ტესტი ძალად გააცდინა, მაშინ ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.



ალექს ფერგიუსონი რიო ფერდინანდს არავის დააჩაგვრინებს

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ (ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲘ)
ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ
ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲨᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲔᲡᲙᲘᲖᲘᲗ
ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲖᲔ, ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ...
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲘᲙᲐ: ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ, ᲕᲘᲛᲠᲔᲚᲔᲑᲘ...
ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲗᲣᲛᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲠᲝ-ᲐᲠᲢᲡᲠᲘᲜᲢᲘ

ᲕᲐᲭᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 91. 53-76-82 899 56-18-49



ფურთხი თუ მუშტი?

ჰოლინა ოფლით ხანძარს აქრობდა

ვიკას დევიდი თავისთან მიჰყავს







სტამბოლში, თურქეთ — ინგლისის მატჩის შესვენებისას ამტყდარი ჩხუბის კადრებს სადაც ჯერ არს იქ ატრიალებენ და ატრიალებენ, დამნაშავე ან დამნაშავეები ხომ უნდა გამოვლინდნენ? და მართლაც, თავდაპირველად თითქოს ერთს ამბობდნენ, შემდეგ სხვას, მაგრამ კაცმა რომ თქვას, დიდად განსხვავებული ჯერ არაფერი თქმულა — მიზეზი ყველა ვარიანტში თურქული მხარის აგრესია იყო, ხოლო კონკრეტულად რა გახლდათ დამნაშავე, მუშტი თუ ფურთხი, უკაცრავად და, სურათს დიდად არ ცვლის. ერთი სიტყვით, პირველი ტაიმის შემდეგ გვირაბში, გასახდელისკენ მიმავალ ინგლისელ ფეხბურთელებს ვილაცამ შეაფურთხა... ან ალფაიმ ბექემს უთაქა... ან კიდევ მავანის მუჯლუგუნი ეშლი კოულს მისწვდა.

მაგრამ ალფაი დამნაშავეა და ამას ლაპარაკი არ უნდა. როდესაც მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი დევიდ ბექემმა პირველ ტაიმში მიზანს ააცილა, იგი ინგლისელს თავს წაადგა, „ურქინა“ და... სხვათა ვერსიით დედა შეაგინა, მისი ვერსიით კი შეახსენა, რომ „უფალი მაღალია“. თუ ალფაის ვერსია მართალია, გამოდის, რომ მისი აზრით ბექემს პენალტი რომ გაეტანა, უსამართლობა იქნებოდა, ასე კი სამართლიანობა აღსდგა.

ან ასე იყო ან ისე — აი, კიდევ რაზე შეიძლება ითქვას. შენოლ გიუნეშს, თურქთა ნაკრების თავკაცს, ერთი ვერსიით განუცხადებია, რომ ალფაის დარი ხულიგანი გუნდში აღარ სჭირდება, მეორე ვერსიით კი ასეთი რამ არ მითქვამს, ჭორიაო, უბრძანებია.

ცნობისთვის, ალფაი „ასტონ ვილას“ ფეხბურთელია და ბირმინგემში დაბრუნდა კიდეც, მაგრამ სადღაც მიიმალა. „ასტონ ვილას“ თანამშრომლები ცდილობენ მას ბექემისთვის ბოდიში მოახდევინონ, მაგრამ თურქი უარზეა, რითაც საქმეს ირთულებს.

და კიდევ, ცნობილი გახდა, რომ იმ, ჩხუბიანი შესვენების დროს შეხვედრის მსაჯს, პიერლუიჯი კოლინას ბექემი და ალფაი თავის ოთახში წყლის დასალევად და დასაშოშმინებლად დაუბარებია.

„კოლინას თამაშის დროს ოფლი თავიდან შადრევანივით ამოსდიოდა და ეს ძალიან სასაცილო იყო. გეგონებოდა, სადღაც ხანძარიაო“ — უხუმრია ალფაის.

ხოლო ბექემი...

ბექემი ოფლზე არ ფიქრობს. იგი მადრიდში დაბრუნდა და განაცხადა, რომ იმ სამენეჯმენტო კომპანიასთან, რომლის დახმარებითაც „ადიდასისგან“, „მარკს ენდ სპენსერისგან“, „ვოდაფონისგან“ და „პეპსისგან“ 10 მილიონი გირვანქა მიიღო, ხელშეკრულებას აღარ გაგრძელებს, რადგან ამიერიდან მთელი ყურადღება ფეხბურთზე უნდა გადაიტანოს — ეს სეზონი „რეალში“ მისთვის საღებიუტოა, ხოლო ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პორტუგალიაში ევრო 2004 იწყება.

საქმეში ჩახედული ადამიანები კი ამტკიცებენ, რომ ბექემისა და ზემოხსენებული კომპანიის გაყრა ფეხბურთელის მეუღლის, ვიქტორია ადამსის მოფიქრებულია, რათა ქმარი თავის სამენეჯმენტო ფირმაში გადართოს. ვიქტორია „პოშის“ საქმეებს მენეჯერთა გურუ საიმონ ფულერი მართავს.

პაპუნა ძედია



ჯოვანი ტრაპატონი

ტრაპატონის ფსონი

მალდინი ფიქრობს, დელ პიერო ლაპარაკობს

ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი? ევროპელ ბუქმეიკერთა აზრით, ფავორიტი საფრანგეთის ნაკრებია. მას „სკუადრა აძურა“ და მასპინძელი პორტუგალია მისდევენ. მაგრამ ბუქმეიკერთა ვარაუდებზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მწვრთნელთა მოსაზრებები უნდა იყოს. ასე მაგალითად, ჯოვანი ტრაპატონი ფრანგთა ფავორიტობის საკითხში ბუქმეიკერებს სულაც არ ეთანხმება და საჩემპიონო ბრძოლას იტალიისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის წინასწარმეტყველებს

პაოლო მალდინი

თუმცა ვინ იცის — უეფას რეიტინგით იტალია ჯგუფში პირველ ნომრად განთესილი ვერ იქნება და შესაბამისად შესაძლოა, „სიკვდილის ჯგუფშიც“ კი ამოჰყოს თავი.

ეს მოზრდილი შესავალი იმისთვის გავაკეთეთ, რომ გვეთქვა — ტრაპატონი თურმე ჯერაც არ კარგავს ლეგენდარული კაპიტნის, პაოლო მალდინის ნაკრებში დაბრუნების იმედს. მოგეხსენებათ, მალდინიმ, რომელსაც 126-ჯერ მოურგია „სკუადრა აძურას“ მაისურა, წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ჩამოკიდა სანაკრებო ბუცები ლურსმანზე და კარიერის ბოლო წლების მთლიანად „მილანისთვის“ მიძღვნა გადაწყვიტა.

„მალდინის ნაკრებში დაბრუნების სურვილი დღეს არ გამჩენია — თქვა ტრაპატონიმ — ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჩამოუგდე ამაზე სიტყვა და პაოლოს გადაჭრით უარი არ უთქვამს. ეს იმედს მაძლევს და მისი დაბრუნების შანსს 50/50-ზე შევაფასებდი. დამეთანხმებით, „მილანში“ მისი თამაშის შემყურე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნაკრებს ველარ გამოადგება. პორტუგალიაში პაოლო დიდ სამსახურს გაგვიწევდა.“

„სკუადრა აძურაზე“ ლაპარაკი ალესანდრო დელ პიეროთი განვაგრძოთ. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის“ კაპიტანი წინა თვეში დაშავდა, კუნთი იტკინა. მისი გამოჯანმრთელების საქმე კი ისე მიდის, რომ ნოემბერში მოედანს დაუბრუნდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 9 ნოემბერს, როცა „იუვენტუსი“ სერია A-ს ტურში „უდინეზეს“ შეხვდება.

ნაკრებზე კი დელ პიერომ თქვა: „მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ჩვენ პრობლემები გვქონდა, მაგრამ ტრაპატონიმ მათი გადაჭრის გზები იპოვა და ახლა ნაკრები საუკეთესო ფორმაშია. ერთადერთი პრობლემა, რაც საპორტუგალიოდ შეიძლება წარმოიშვას, ძალიან დიდი კონკურენციაა. თითოეულ პოზიციაზე ჩვენ უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელი გვყავს.“

მოდით, ახლა პაოლო მალდინი და ალესანდრო დელ პიერო ერთმანეთთან როგორც „ოქროს ბურთის“ კანდიდატები ისე დავაკავშიროთ. ამბობენ, რომ ისინი, იუვენტუსელ პაველ ნედვედთან ერთად „ფრანს ფუტბოლის“ უპრესტიჟულეს გამოკითხვაში უდავო ფავორიტები იქნებიან.

ჯოვანი ტრაპატონიმ პირდაპირ განაცხადა, ჩემი ნება რომ იყოს, „ოქროს ბურთს“ მალდინის მივცემდიო. რატომ?

— მალდინიმ თავის ხანგრძლივი კარიერის მანძილზე უამრავი ჯილდო მოიპოვა და ფეხბურთში თავისი ღრმა კვალიც დატოვა. „ოქროს ბურთით“ დაჯილდოვება მისი ღვაწლის ლოგიკური შეფასება იქნება.

აი, დელ პიერომ კი საკუთარი დამსახურებანი თვითკრიტიკულად შეაფასა: „თუ „ოქროს ბურთს“ მოგცემენ, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, მაგრამ მგონია, რომ ბევრი ფეხბურთელი ჩემზე მეტად იმსახურებს ამ ჯილდოს. სხვა რომ არაფერი, მე ჩემპიონთა ლიგა ვერ მოვიგე და ამასთანავე, ტრავმების გამოც დიდი დრო გამიცდა.“

ძოტე ბეკელია

საიდუმლო წერილი
რივალდო მამალოსავით დადნა



გასულ უქმეებზე ბრაზილიამ და იამაიკამ ლესტერში ამხანაგურად ითამაშეს. პენტაკამპეონებმა მეტოქეს 1:0 სძლიეს. მსოფლიოს ჩემპიონებს რივალდო ახლდათ. ინგლისელმა ჟურნალისტებმა შანსი არ გაუშვეს და „მილანის“ ბრაზილიელს შეუჩნდნენ, გასულ ზაფხულს „ტოტენჰემში“ რატომ არ გადახვედიო.

რივალდომ გული გახსნა: „ლონდონურ კლუბში გადასვლის იმედი ისევ მაქვს. ახალ წლამდე „მილანში“ ვითარება ჩემთვის სასიკეთოდ თუ არ შეიცვალა, აუცილებლად პრემიერლიგას მივაკითხავ. „ტოტენჰემიდან“ ჯერ კიდევ ბარსელონაში ყოფნისას დამიკავშირდნენ, მაგრამ მე „მილანი“ ვარჩიე, რადგან „შავ-წითლები“ გაცილებით სახელოვანნი არიან. ჩვენ ჩემპიონთა თასი მოვიგეთ, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ვხვდებოდი და გუნდიდან წასვლა ამიტომ მსურდა“.

ბრაზილიელი ინგლისელებს „ტოტენჰემის“ სიყვარულში გამოუტყდა: „ზაფხულში „მამლების“ წინადადებამ იმდენად მომხიბლა, რომ ლონდონელებს წერილიც კი მივწერე. სხვა კლუბებისთვის ცხოვრებაში წერილი არასოდეს გამიგზავნია. თავი მოვალედ ვიგრძენი და მსურდა, გულწრფელად ამეხსნა, „მილანი“ რატომ ავირჩიე. ვიცი, „ტოტენჰემი“ ბობოლა გუნდი არაა, მაგრამ საკმაოდ ლაღ ფეხბურთს ქადაგებს და იქ ალბათ ადგილი ჩემთვისაც მოიძებნება“.

რივალდოს „ჩელსის“ მტაცებელ პატრონზე, რომან აბრამოვიჩზეც ჰკითხეს, ამბობენ, თქვენი გადაბირება სწადიაო. „ინგლისურ გაზეთებში გავრცელებული ინფორმაცია „ჩელსიში“ ჩემი გადასვლის თაობაზე ტყუილია. მათთან კავშირი არ მქონია და „არისტოკრატთა“ აგენტებთან არასოდეს მისაუბრია“.

ვაჟა ხუციშვილი

ესტებან კამბიასომ (ბურთით) „ვალენსიასთან“ მატჩი დაივწყო

ესტებან კამბიასო:
რეალში წარსულის აჩრდილებს ებრძვიან

ესტებან მატიას კამბიასო, მადრიდის „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველი, ვიგოს „სელტასთან“ საპრიმერო ჯახისთვის ემზადება. პატავონიელის თქმით, გალისიელებთან მოგება სამეფო გუნდისთვის საჩემპიონო მარათონში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. გთავაზობთ კამბიასოს ინტერვიუს, რომელიც „რეალის“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა

— ვიგოელებთან მატჩი შაბთს, 18 ოქტომბერს გაიმართა. „რეალმა“ კი პრიმერაში ბოლოს 11 დღის წინ ითამაშა. ამხელა შესვენება ფეხბურთელებზე საზიანოდ ხომ არ იმოქმედებს?

— პირიქით, ამ პაუზით ჩვენმა გუნდმა კარგად ისარგებლა. წინ ძალიან დაძაბული შეხვედრები გველის და ეს ორკვირიანი შესვენებაც ძალთა აღდგენაში და სასარგებლო წვრთნა-ვარჯიშების ჩატარებაში დაგვეხმარა. მსოფლიოს სხვადასხვა ნაკრებებიდან „რეალის“ მობურთალებმა დროულად მოასწრეს მადრიდში ჩამოსვლა და დასვენება. „სელტასთან“ ყველა საუკეთესო ფორმაში იქნება.

— ვიგოს ორთაბრძოლაში ალბათ „რეალი“ განსაკუთრებული მონდომებით შეეცდება გამარჯვებას. მადრიდულ გუნდს ხომ „ვალენსიასთან“ დასანანი მარცხის და იქამდე „ვილიარეალთან“ უცნაური ფრის გაქარწყლება სწადია...

— ზოგიერთი თამაში შეიძლება ცუდად ჩაატარო, მაგრამ განვლილ წაგებებზე თუ უხერხულ ფრეებზე დიდხანს ლაპარაკი არ შეიძლება. „რეალი“ წარსულის აჩრდილების დევნას არ აპირებს და ამა თუ იმ მატჩის მოგებას ოდენ ღირსეულ ჯილდოთა გამო შეეცდება.

— სეზონის დასაწყისთან შედარებით ესტებან კამბიასოს კარიერა ძლიერ შეფერხდა?

— არ შეფერხებულა. სამეფო გუნდში კვლავაც შესანიშნავად ვგრძნობ თავს, მაქვს შესაძლებლობა, ძირითად შემადგენლობაშიც.

— მადრიდში მეთორმეტე ნომრად ყოფნა უკეთესია თუ სადმე სხვა რომელიმე გუნდში თამაში?

— ბუნებრივია, რომ ფეხბურთელს ძირითადში ხანგრძლივად ყოფნა მოსწონს, მაგრამ „რეალში“ ვარჯიში და აქ თამაშის შანსი მაინც განსაკუთრებული მოვლენაა. მწვრთნელმა ყოველ სათადარიგო ფეხბურთელს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, უნდა მისცეს მოედანზე ხშირი გამოჩენის უფლება, რათა ამ უკანასკნელთ თავიანთი სიჩაუქის საქმით დამტკიცება შეეძლოთ.

— „სელტასთან“ ჯახი ამ თვის ყველაზე ძნელი შეხვედრა იქნება?

— ალბათ, ასეცაა. უნდა მოვიგოთ, პრემერას სათავეებიდან ჩამოქვეითება „რეალის“ გეგმებში არ შედის.

გვასესხეთ ბარტეზი
ფრანგებს ფრანგი ქირით უნდათ



ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „მარსელის“ სათადარიგო მეკარე სედრიკ კარასო ვარჯიშზე დაშავდა. ამჟამად გუნდი მხოლოდ ვედრან რუნიეს იმედზეა და მარსელელთა მწვრთნელმა ალან პერენმა მეკარის ძებნა დაიწყო.

პერენს ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დარაჯი ფაბიენ ბარტეზი გაახსენდა. „მანჩესტერში“ ტიმ ჰოვარდის მისვლის დღიდან ფრანგმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ახლა უსაქმოდაა. „მარსელის“ თავკაცს გუნდში მისი გადაბირება სურს. ივი ინგლისელებს დაუკავშირდა და უსაქმოდ მყოფი მეკარე იჯარით სთხოვა: „მისი გადმობირება გვსურს, მაგრამ მანჩესტერელებთან მოლაპარაკება ჯერ არ დაგვისრულებია. ჩვენ მეკარის იჯარით აყვანა გვინდოდა, თუმც პირობებზე ვერ შევთანხმდით. ინგლისელები ბარტეზის გაყიდვას ეშურებიან და საკმაოდ მოზრდილი თანხა მოგვახალეს“.

სერ ალექს ფერგიუსონმა ეს ამბავი დაადასტურა და დასძინა, რომ ფრანგ მეკარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებს, თუ მის ტრანსფერს ვინმე გამოისყიდის.

„ჩვენ ორი ვარიანტი გვაქვს, კარში ან გამოცდილი კაცი გვჭირდება, რომელიც დროებით დაგვეხმარება, ან კიდევ ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარე, ვინც მომავალში რუნიეს შეცვლის“ — თქვა ალან პერენმა.

ვაჟა ხუციშვილი

„ინტერს“ წენავს ყველა, ვისაც არ ეზარება. მილანურ დერბიში მარცხის შემდეგ რონალდომ ექტორ რაულ კუპერს ხელობა დაუწუნა. „ინტერიდან“ „ბრეშაში“ გადასულმა ლუიჯი დი ბიაჯომ ბრაზილიელს ხმა შეაშველა, ბოლოს კი თვით დიეგო არმანდო მარადონამაც არ დაიზარა და თვისტომი მწვრთნელი გააკრიტიკა. „შავ-ლურჯებისთვის“ ამჯერად ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ მოიცალა

ტაივო ოგუნჯობის
ოხუნჯობისთვის არ სცალია

„ინტერში“ 19 წლის ნიგერიელი ობაფემი მარტინსი თამაშობს, რომელსაც ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში უხმეს, მაგრამ მილანელები არ უშვებენ.

ნიგერიელთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ტაივო ოგუნჯობმ იტალიელებს შეუთვალა, 26 ოქტომბერს ეგვიპტეს ვხვდებით და ფეხბურთელი გვჭირდებაო. ინტერელებმა სერია A-ს კალენდარი მოიშველიეს და წერილით შეუთვალეს, 26-ში „რომასთან“ ომი გველის, ეს ბიჭი აქ უნდა იყოსო.

ტაივო ოგუნჯობი აფეთქდა: „უკვე მესამედ გვისტუმრებენ უარით... აქამდე ფიფას შეწუხება არ გვსურდა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, „ინტერს“ ვუჩივლებთ და ფეხბურთელს ნაკრებში მაინც ჩამოვიყვანთ“.

ობაფემი მარტინსი

ვაჟა ხუციშვილი

ვიქტორ ვალდესი: დავბრუნდი, რომ არასოდეს ნავიდე

21 წლის ვიქტორ ვალდესი ესპანურ პრიმერადივიზიონსა თუ სხვა ტურნირებზე „ბარსელონას“ კარს იცავს. ახალგაზრდა მეკარის გზა პრიმერას გრანდში მოსახვედრად ყვავილებით მოფენილი სულაც არ ყოფილა და მის ცხოვრებაშიც ბევრი იყო რთულად დასაძლევი ბარიერი. ყოველივე ამის შესახებ ვიქტორმა კატალონიურ „სპორტს“ მოუთხრო:

„სანტ-ესტევე სესრობირესი, ჩვენი ადრეული საცხოვრებელი, დედაჩემის ავადმყოფობის გამო მივატოვე. მისმა მკურნალმა ექიმმა გვირჩია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ უფრო თბილკლიმატიან ადგილას გადავსახლდებოდით, რათა დედაჩემს ოპერაციის შემდგომ ჯანმრთელობა არ გაუარესებოდა. 1992 წლის ზაფხულში ტენერიფეზე გადავედით, კუნძულების შესანიშნავი ჰავა მოგვეწონა. მამაჩემმა კარგი სამუშაო იშოვა და ჩვენც საცხოვრებლად ლოს კრისტიანოსი, ერთ-ერთი იქაური ქალაქი შევარჩიეთ.

დაახლოებით ამ პერიოდში „ბარსელონას“ ბავშვთა გუნდის სელექციონერები ჩემი თამაშით დაინტერესდნენ. 8 წლისას უკვე მქონდა ერთ-ეთრ ტურნირში მონაწილეობის გამოცდილება და „ბარსამაც“ ყურადღება მაშინ მომაქცია. ორი წლის შემდეგ მე და ჩემი მშობლები უკვე რთული არჩევანის წინაშე დავდექით — ან ტენერიფეში მათთან ერთად უნდა დავბრუნებულიყავი, ან ბარსელონაში დავრჩენილიყავი. რადგან ჩემი ყველაზე უფრო სანუკვარი ოცნების განხორციელება მსურდა, მეც „ბარსაში“ დარჩენა ვირჩიე. ჩემები ტენერიფეს გაემგზავრნენ, მე კი ცხოვრებაში პირველად, სრულიად უცხო გარემოში. მარტოდმარტო დავრჩი. LA MASIA-ზე („ბარსას“ საწვრთნელი ბაზა) გატარებული პირველი დღეები საშინელება გახლდათ. იქაურ პატარა ფეხბურთელთაგან მე საერთოდ ყველაზე უმცროსი ვიყავი, მეტწილად მარტო დავდიოდი და ამან ჩემზე ძმიმედ იმოქმედა. განსაკუთრებით ძნელი იყო, როდესაც უქმეებზე ყველა შინ მიდიოდა. მაშინ იძულებული ვიყავი, ბაზაზე დავრჩენილიყავი და მშობლიურ სახლსა და ჩემს საყვარელ ადამიანებზე მეფიქრა. არ დაგიმალავთ — ხშირად ვტიროდი კიდეც. ბევრჯერ მიფიქრია, რომ ჩემს გულჩათხრობილობაში სწორედ ის პერიოდია დამნაშავე. უფროსი ბიჭები — დელა პენია, სელადესი, არპონი, ხაბი მორენო და სხვებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩემს გამხნევებას. მიუხედავად მათი დიდი მონდომებისა და დახმარებისა, LA MASIA-ზე ოდენ 6 თვე გაძელი და ერთ მშვენიერ დღესაც ტენერიფეზე, ლოს კრისტიანოსში დავბრუნდი.

ვთამაშობდი „იბარაში“, კრისტიანოსის საუკეთესო გუნდში. კიდევ ორი წლის შემდეგ კი უკვე საგრძნობლად „დავაჟკაცებული“ კვლავ „ბარსაში“ მივედი, რაშიც უდიდესი წვლილი უკვე მამაჩემს მიუძღვის. მანაც და მეც მშვენივრად ვიცოდით კატალონიური გრანდიდან ჩემი დროებითი წამოსვლა დამარცხებას რომ არ ნიშნავდა. მამამ მწვრთნელთა სპეციალური კურსები გაიარა, რათა ჩემთან საფეხბურთო მუშაობა უკეთ შესძლებოდა. პრიმერას გრანდში ხელმეორე კარიერა დიდი იმედებითა და სურვილებით დავიწყე, რამაც საბოლოო ჯამში ჩემი ძველი და სანუკვარი ოცნება („ბარსელონას“ დიდ გუნდში თამაში) სინამდვილედ აქცია. მშობლებიც ჩემთან, ამ მშვენიერ ქალაქში, ანუ ჩემს სამშობლოში გადმოვიყვანე. ბედის მჯერა და ვიცი, რომ „ბარსასთან“ სამუდამოდ ვარ შეკრული. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო და მეც ამისთვის ღმერთს მადლობას ვწირავ. „ბარსელონა“ ჩემი ცხოვრების გუნდია!

მამა-შვილი ვალდესები

ლადო ხომერიკი

ბავშვებს მიხედეთ

სტოიჩკოვი სკოლაში მიდის

„ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას ახალი იდეა ეწვია. მას გუნდის ყოფილი მოთამაშეების „ბარსას“ საფეხბურთო სკოლებში დასაქმება სურს. ლაპორტა ხრისტო სტოიჩკოვს და ხოსე მარია ბაკეროს შეეხმიანა და ბავშვებთან მუშაობა შესთავაზა.

ხრისტო სტოიჩკოვი ამჟამად ამერიკაშია. ბულგარელი მეოჯორ ლიგის „დი სი იუნაიტედის“ მოთამაშე-მწვრთნელია და რომელიმე ესპანური გუნდის თავკაცობა სურს — მწვრთნელის ლიცენზია ავიღე და უახლოეს მომავალში საკუთარი თავის გამოცდას ვაპირებ. ესპანეთში მუშაობაზე უარს არ ვიტყოდი.

ხრისტო სტოიჩკოვი თანახმაა, მაგრამ საქმეში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია. პრიმერადივიზიონის გუნდის მთავარმწვრთნელობა თუ გინდა, სამწლიანი სტაჟი უნდა გქონდესო. როგორც ჩანს, სტოიჩკოვს ჯერჯერობით ბავშვებთან მუშაობა მოუწევს.

ვაჟა ხუციშვილი

უეფამ შოტლანდია დაასაჩუქრა

სელტიკ — რეინჯერსის ომის ახალი მიზეზი

უეფამ კლუბებს ევროთასებზე შარშანდელი მონაგარი დაუთვალა. უეფას თასის ფინალში „სელტიკის“ გასვლამ შოტლანდიას დამატებითი ქულები მოუტანა. შედეგად სქოთებმა რეიტინგში თურქებს გადაასწრეს

ამ სეზონში შოტლანდიის პირველი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ასცდება და პირდაპირ ჯგუფში ჩასვამენ, მეორეადგილოსანს კი კვლავ კვალიფიკაციის გავლა მოუწევს. ცხადია, შოტლანდიის ჩემპიონობისთვის „სელტიკისა“ და „რეინჯერსს“ შორის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება, რადგან პირველი ადგილი უეფასგან მეტად დაფასდა.

თურქეთის პირველ გუნდს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში ერგო, მაგრამ არსებობს სხვა ვარიანტიც: თასის მომომდევნო ფინალში (26 მაისს გელზენკირხენში გაიმართება) გამარჯვებულმა თავის ქვეყანაშიც თუ სალიგო ადგილი დაიკავა, თურქეთის ჩემპიონი ჯგუფში კვალიფიკაციის გარეშე მოხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური						
		18 ოქტომბერი						
16.00	002	ლიდსი-მანჩესტერი	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
19.00	003	არსენალი-ჩელსი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	004	ფულჰემ-ვულვერჰემპტონი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	005	სიტი-ბოლტონი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
19.00	006	მიდლსბრო-ნიუკასლი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
19.00	007	პორტსმუთი-ლივერპული	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
		19 ოქტომბერი						
16.00	008	ბირმინგემი-ასტონ ვილა	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
18.00	009	ლესტერი-ტოტენჰემი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
20.05	010	ვერტონი-საუთჰემპტონი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
		20 ოქტომბერი						
24.00	011	ბლეკბერნი-ნარლტონი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
		შოტლანდია. პრემიერლიგა. IX ტური						
		18 ოქტომბერი						
19.00	083	აბერდინი-დანდი უნაიტედი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	084	სელტიკი-პართი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	085	სელტიკი-პართი 0:1	1,4	3,8	4,2			
19.00	086	დანდი-პარტიკი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
19.00	087	დანფერმლინი-კილმარნოკი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
19.00	088	ჰიბერნიანი-ლივინგსტონი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
		19 ოქტომბერი						
19.00	089	მიზერუელი-რეინჯერსი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11	1
		გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური						
		18 ოქტომბერი						
18.30	111	ჰერთა-ლევერკუზენი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
18.30	112	ვერდერი-შტუტგარტი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
18.30	113	კიოლნი-ფრაიბურგი	2,25	3,3	2,8	1,33	1,24	1,51
18.30	114	ვოლფსბურგი-ჰანსა	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
18.30	115	მიუნხენი-ინტერატაგი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
18.30	116	დორტმუნდი-ჰანოვერი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.30	117	მონხენგლადბახი-ბაიერნი	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
		19 ოქტომბერი						
20.30	118	შალკე-ბოხუმი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.30	119	კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
		გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური						
		17 ოქტომბერი						
22.00	120	ტრიერი-ფუიერი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
22.00	121	ლიუბეკი-ოსნაბრიუკი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
22.00	122	დუისბურგი-იბერლაუზენი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
		19 ოქტომბერი						
18.00	123	კოტბუსი-ბურგჰაუზენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
18.00	124	რეგენსბურგი-ალემანია	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
18.00	125	არმინია-ბიენეფელდი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
18.00	126	ფიურთი-აიბენი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	127	აუგსბურგი-კარლსრუე	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		20 ოქტომბერი						
23.15	128	უნტერჰახინგი-ნიურნბერგი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური						
		18 ოქტომბერი						
17.00	130	ლორტმუნდი(მ)-ლინაბო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
17.00	131	პადერბორნი-ჰამბურგი(მ)	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
	132	პადერბორნი-ჰამბურგი(მ) 0:1	2,05	3,2	2,45			
17.00	133	ნიიმეგენსტეკი-ურდინგენი	3,6	3,4	1,65	1,74	1,13	1,11
17.00	134	შალკე(მ)-ფუპერტალი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
17.00	135	ქემნიცი-კილი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
17.00	136	ესენი-ძიენსტერი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
	137	ესენი-ძიენსტერი 0:1	2,2	3,2	2,3			
		19 ოქტომბერი						
17.00	138	ლაიპციგი-ზტ.პაული	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
17.00	139	ვერდერი(მ)-ბრაუნშვაიგი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
17.00	140	კიოლნი(მ)-ვაგენინგენი	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XII ტური						
		17 ოქტომბერი						
22.00	142	კიკერსი-ეშბორნი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
22.00	143	შვაინფურტი-შტუტგარტი(მ)	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
22.00	144	ზაარბრიუკენი-ფუულენდორფი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
22.30	145	ერფურტი-ძაინცი(მ)	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
		18 ოქტომბერი						
17.30	146	ვეინი-ფიიხტი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
17.30	147	ბაიერნი(მ)-აუგსბურგი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
17.30	148	აალენი-ჰოფენჰაიმი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		19 ოქტომბერი						
18.00	149	ზიგენი-ელვერსბერგი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		იტალია. სერია A. VI ტური						
		18 ოქტომბერი						
21.00	150	ბრეშა-ინტერი	4,0	3,1	1,9	1,74	1,28	1,17
23.30	151	ანკონა-იუვენტუსი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
		19 ოქტომბერი						
18.00	152	ბოლონია-პერუჯა	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
18.00	153	კეგლიარი-სამპდორია	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
18.00	154	მოდენა-ლეჩე	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
18.00	155	რეჯინა-სიენა	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
18.00	156	რომა-პარმა	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
18.00	157	უდინეზე-ემპოლი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
23.30	158	მილანი-ლაციო	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
		ესპანეთი. I დივიზიონი. VII ტური						
		18 ოქტომბერი						
22.30	211	სელტა-რეალი	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
00.30	212	ალბასეტე-სევილიანელი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
00.30	213	ბარსელონა-ლეგანესი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		19 ოქტომბერი						
20.00	214	რასინგი-მალაგა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.00	215	სარაგოსა-ვალიადოლიდი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
20.00	216	ვალენსია-ესპანიოლი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	217	ვალენსია-ესპანიოლი 0:1	1,7	3,1	3,3			
20.00	218	ბილბაო-ვალიადოლიდი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	219	ოსასუნა-ჩერსია	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
22.00	220	აბლიტიკი-მალიორკა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
00.30	221	სევილია-ბეტისი	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
		საფრანგეთი. I დივიზიონი. X ტური						
		17 ოქტომბერი						
24.00	236	სტრასბურგი-მარსელი	2,7	3,0	2,5	1,42	1,29	1,36
		18 ოქტომბერი						
20.15	237	მონაკო-ოსერი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
23.00	238	მონპელიე-გენგამი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.00	239	პუტ-ლე მანი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	240	პუტ-ლე მანი 0:1	1,9	3,2	2,7			
23.00	241	რენი-ნიცა	2,25	3,0	3,2	1,28	1,32	1,54
23.00	242	ბასტია-ლანსი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	243	ბორდო-ტულუზი	1,55	3,4	6,5	1,06	1,25	2,23
23.00	244	ლილი-აიაჩიო	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.00	245	ლიონი-ხიმონ	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03
23.00	246	შეკი-ნანტი	2,45	3,0	2,8	1,34	1,3	1,44
		საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური						
		18 ოქტომბერი						
23.00	247	ანჟე-ნიორი	2,3	2,8	3,2	1,26	1,33	1,49
23.00	248	ბესანსონი-ვალანსი	2,15	2,8	3,5	1,21	1,33	1,55
23.00	249	კაენი-ლორიანი	2,0	2,8	4,0	1,16	1,33	1,64
23.00	250	გრენობლი-ლე ავრი	2,6	2,8	2,7	1,34	1,32	1,37
23.00	251	ისტრი-ნანსი	1,75	2,9	5,0	1,09	1,29	1,83
23.00	252	ლავალი-გენიონი	2,05	2,7	4,0	1,16	1,35	1,61
23.00	253	რუანი-კრეტეი	2,1	2,8	3,6	1,19	1,32	1,57
23.00	254	ტრუა-შატორუ	1,7	3,0	5,3	1,08	1,28	1,91
		19 ოქტომბერი						
20.00	255	კლერმონი-სტ.ეტიენი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
		20 ოქტომბერი						
23.15	256	აჭაენი-სედანი	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
		პორტუგალია. სუპერლიგა. VIII ტური						
		17 ოქტომბერი						
01.00	257	გიმარაეში-მორეირენსე	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
		18 ოქტომბერი						
20.00	258	აკადემიკა-ნასიონალი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
21.15	259	ფ�ეირა-ბაავიშტა	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
01.15	260	ბელენენსეში-პორტუ	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		19 ოქტომბერი						
20.00	261	ბრაგა-რიო ავე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.00	262	ამადორა-ალკერეა	2,25	3,3	2,9	1,33	1,26	1,54
21.30	263	ლეირია-მარიტიმუ	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
23.30	264	ბენფიკა-ჟელ ვიხენტე	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	265	ბენფიკა-ჟელ ვიხენტე 0:1	1,75	3,2	3,0			
		20 ოქტომბერი						
23.45	266	სპორტინგი-ბეირა მარი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	267	სპორტინგი-ბეირა მარი 0:1	1,95	3,2	2,6			
		ჰოლანდია. I დივიზიონი. VIII ტური						
		17 ოქტომბერი						
23.00	280	აიაქსი-ვოლენდამი	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	281	აიაქსი-ვოლენდამი 0:1	1,3	4,0	5,0			
		18 ოქტომბერი						
22.30	282	როზენდალი-ტილბურგი	2,2	3,4	2,9	1,33	1,25	1,56
22.30	283	ზვოლეი-პერენენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	284	ზვოლეი-პერენენი 0:1	1,75	3,2	3,0			
23.00	285	ვალვაიკი-ეიტენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		19 ოქტომბერი						
15.30	286	როდა-ფეიენოორდი	3,0	3,4	2,15	1,59	1,25	1,31
17.30	287	ნაიმეგენი-ბრედა	2,0	3,4	3,3	1,25	1,24	1,67
17.30	288	უტრეხტი-ალკმაარი	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
17.30	289	ზეელენდენ ჰაგი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
17.30	290	ტვენტე-გრონინგენი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
		ბელგია. I დივიზიონი. IX ტური						
		17 ოქტომბერი						
23.30	304	შარლეროა-ანდერლეხტი	7,0	4,2	1,4	2,62	1,16	1,04
		18 ოქტომბერი						
23.00	305	ბეერსხოტი-ბეერენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
23.00	306	ლოკერენი-ჰეუზდენი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
23.00	307	ჰუსლინი-სტ.ტრუიდენი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
23.00	308	სტანდარდი-გენტი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
23.00	309	მონსი-ანტვერპენი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.00	310	ბრიუგე-ვესტერლო	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	311	ბრიუგე-ვესტერლო 0:1	1,65	3,3	3,3			
		19 ოქტომბერი						
18.00	312	გენკი-სერეული	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	313	გენკი-სერეული 0:1	1,75	3,2	3,0			
22.30	314	ლიერსი-ლუკენ	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		ავსტრია. ბუნდესლიგა. XIII ტური						
		18 ოქტომბერი						
18.30	327	აღლინა-რაბიდი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
18.30	328	ზალცბურგი-ჰაბინგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	329	შპერნი-ბრეგენცი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		19 ოქტომბერი						
18.30	330	კერნტენი-ფაგერბერგი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.30	331	აუსტრია-გრაზერი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		დანია. სუპერლიგა. XII ტური						
		18 ოქტომბერი						
20.00	345	ფრუმი-ნორდსიელანდი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
		19 ოქტომბერი						
18.00	346	ეიბერგი-ესბიერგი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.00	347	ობენსი-ბრაიენდბიუ	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
18.00	348	ალბორგი-ოლბორგი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
18.00	349	მიდტიელანდი-ჰერეფოლგე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
20.35	350	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		შვედეთი. ალსვენსკა. XXV ტური						
		19 ოქტომბერი						
18.00	362	აიკ-სუნდსვალი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
18.00	363	ჰალმსტადი-იურგორდენი	3,4	3,4	1,95	1,7	1,23	1,23
18.00	364	მალმიო-გიოტებორგი	1,35	4,4	7,5	1,03	1,14	2,77
		20 ოქტომბერი						
22.00	365	ჰაპარანდა-იორეტორეა	1,35	4,4	7,5	1,03	1,14	2,77
22.00	366	ლანდსკრონა-ენში

საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

II ეტაპი, V ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 17.10.03

შტამპის

ადგილი

II ეტაპი, V ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 17.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

მისამართი----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

II ეტაპი, V ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

II ეტაპი, V ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

II ეტაპი, V ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

II ეტაპი, V ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
19.00	18.10	არსენალი - ჩელსი	
19.00	18.10	მილდსბრო - ნიუკასლი	
19.00	18.10	პორთსმუტი - ლივერპული	
18.30	18.10	ვერდერი - შტუტგარტი	
18.30	18.10	გლადბახი - ბაიერნი	
21.00	18.10	ბრეშია - ინტერი	
23.00	18.10	ბასტია - ლენსი	
20.15	18.10	მონაკო - ოსერი	

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 18 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 18 ოქტომბერს)

საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი

კვირის კალენდარი

13 ოქტომბერი — გაზეთი „ახალი ვერსია“, მე-2 ეტაპის მე-7 ტური სამ ვარიანტად (ჩემპიონთა ლიგა).
14 ოქტომბერი — ჟურნალი „ულტრა“, მე-2 ეტაპის მე-8 ტური სამ ვარიანტად (ჩემპიონთა ლიგა).
16 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-5 ტური სამ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები), 1 ეტაპის მე-11 და მე-12 ტურის წინასწარი შედეგები, 1 ეტაპის წინასწარი შედეგები.
17 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-6 ტური ორ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები).
18 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის 1, მე-2, მე-3 და მე-4 ტურის წინასწარი შედეგები, კონკურსის დებულება, მომდევნო კვირის კალენდარი.

პირველი ეტაპის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქულა
1	ვეშაპიძე გია შოთას ძე (მცხეთა)	284(28-31-36-29-36-26-38-36-31-42-47-49)
2	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე(ქუთაისი)	274(15-39-15-36-36-25-28-39-39-36-41-44)
3	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე(თბილისი)	267(23-23-49-26-33-18-31-23-30-43-39-42)
4	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე(თბილისი)	266(23-35-0-0-31-20-36-29-47-39-37-41)
5	გორელაშვილი დავით გურამის ძე(თბილისი)	261(31-36-23-15-33-23-34-26-36-44-39-39)
6	ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე(თბილისი)	259(28-41-23-26-36-23-44-26-25-28-41-41)
7	გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე(ქუთაისი)	257(20-33-36-23-33-23-36-28-44-34-33-41)
8	ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე(თბილისი)	256(23-29-36-23-35-33-31-29-43-31-39-39)
9	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას(თბილისი)	255(28-18-18-34-37-25-34-28-36-31-42-41)
10-13	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე(თბილისი)	253(25-21-36-26-23-20-39-34-28-33-39-44)
10-13	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე(თბილისი)	253(23-30-36-26-34-29-31-26-31-39-44-38)
10-13	სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე(თბილისი)	253(0-0-0-0-44-20-28-32-33-31-41-44)
10-13	ფაცია გიორგი მურმანის ძე(თბილისი)	253(23-25-36-18-39-13-28-37-28-26-44-41)
14	ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე(თბილისი)	252(31-28-38-29-36-26-28-28-30-36-38-43)
15	წიკლაური მაია ინგურის ას(თბილისი)	250(23-23-20-37-33-23-34-33-39-33-28-41)
16-17	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე(თბილისი)	248(13-18-20-26-36-10-34-28-31-34-44-41)
16-17	ციცვიძე იური ვლადიმერის ძე(თბილისი)	248(15-20-42-31-36-20-36-31-34-31-38-31)
18	მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე(თბილისი)	247(20-28-18-26-38-15-45-23-28-23-41-41)
19-20	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე(თბილისი)	245(33-23-0-0-33-23-36-31-33-36-38-36)
19-20	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე(თბილისი)	245(23-26-30-28-30-25-42-26-23-38-36-41)
21	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე(თბილისი)	244(26-28-33-34-31-23-31-23-33-36-36-41)
22	თევდორაძე ვარლამ გივის ძე(ქუთაისი)	243(23-21-34-20-39-10-36-34-13-26-31-43)
23-25	გომარელი გიორგი მურმანის ძე(თბილისი)	242(15-23-31-42-30-15-34-28-31-26-33-41)
23-25	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე(თბილისი)	242(20-15-0-0-28-23-25-23-31-36-47-52)
23-25	ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე(თბილისი)	242(28-39-34-31-36-20-38-29-31-28-31-33)

მედეგების ბეჭდვა-ტესტირება მეიძლება 19 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული

I ეტაპის XI ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1-2	ვეშაპიძე გია შოთას ძე	47
1-2	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	47
3	მეზურნიშვილი დავით გივის ძე	46
4-8	ავსაჯანიშვილი ილია შალვას ძე	44
4-8	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	44
4-8	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	44
4-8	ფაცია გიორგი მურმანის ძე	44
4-8	წულაია თამთა აკაკის ას	44
9-10	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას	42
9-10	გავშელიშვილი მერაბ ოთარის ძე	42
11-19	ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე	41
11-19	გარაყანიძე გოდერძი უშანგის ძე	41
11-19	ვაშაკიძე პაატა დიმიტრის ძე	41
11-19	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	41
11-19	მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე	41
11-19	ოსიაშვილი ამირან ილიას ძე	41
11-19	სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე	41
11-19	ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე	41
11-19	ჯანელიძე გიორგი გელას ძე	41
20-26	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	39
20-26	გორელაშვილი დავით გურამის ძე	39
20-26	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	39
20-26	ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე	39
20-26	ქარქაშაშვილი სერგო არჩილის ძე	39
20-26	ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე	39
20-26	ჯაფარიძე ზვიად თენგიზის ძე	39

I ეტაპის XII ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	52
2	ვეშაპიძე გია შოთას ძე	49
3-4	გოგლიძე ჯემალ კონსტანტინეს ძე	47
3-4	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	47
5-6	ვაშაკიძე პაატა დიმიტრის ძე	46
5-6	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	46
7-14	დანელია მამუკა მიხეილის ძე	44
7-14	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	44
7-14	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	44
7-14	მეზურნიშვილი დავით გივის ძე	44
7-14	სერებრიაკოვი გია ჰამლეტის ძე	44
7-14	სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე	44
7-14	ქუჯაიძე თემო პლატონის ძე	44
7-14	ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე	44
15-17	ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე	43
15-17	თევდორაძე ვარლამ გივის ძე	43
15-17	ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე	43
18	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	41
19-41	აბესაძე თეიმურაზ იაშას ძე	41
19-41	ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე	41
19-41	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას	41
19-41	გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე	41
19-41	გომარელი გიორგი მურმანის ძე	41
19-41	გულუა კახაბერ არველოდის ძე	41
19-41	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	41
19-41	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე	41
19-41	კერესელიძე იური პეტრეს ძე	41
19-41	მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე	41
19-41	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	41
19-41	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე	41
19-41	მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე	41
19-41	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	41
19-41	რეხვიაშვილი დავით ალექსანდრეს ძე	41
19-41	ფაცია გიორგი მურმანის ძე	41
19-41	ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე	41
19-41	ქუჯაიძე ლექსო თეიმურაზის ძე	41
19-41	ცომაია რევაზ პეტრეს ძე	41
19-41	წიკლაური მაია ინგურის ას	41
19-41	ჭანტურია სოსო კობას ძე	41
19-41	ჭიჭინაძე გოჩა ოთარის ძე	41
19-41	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე	41

საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“
6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მალაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ლრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ალი-ბაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)
ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში



წინ შოთა ხაბარელი და ვახტანგ ბლაგიძეა

შოთა ხაბარელი, შოთა მირიანაშვილი
და ვახტანგ ბლაგიძე მწვერვალზე

ხდედალეულებს არწივებმაც გადმოგვხედეს

იმ დღეს, 11 ოქტომბერს, უსახელო მწვერვალზე მთამსვლელებთან და ჩვენს ვეტერან ოლიმპიურ ჩემპიონებთან, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდაკე ვახტანგ ბლაგიძესთან და ძიუდოისტ შოთა ხაბარელთან ერთად ასულებმა უჩვეულო სანახაობა ვიხილეთ — ის იყო მწვერვალზე ფეხი შევდგით და ულურჯესი ცის თავზე ორი არწივი გამოჩნდა. ვეება ფრთები მარაოსავით გაეშალათ და მწვერვალზე ასულთ მძიმე ბომბდამშენებივით თავს დაგვტრიალებდნენ...

მაგრამ ახლა ორიოდე დღით უკან დავიხიოთ, ხდის ხეობას ავუყვეთ და მივყვეთ თანმიმდევრულად.

ჰოდა, ახლა ხდეს ხეობას მივუყვებით. ამ ხეობაში ამოსულს მუდამ ლევან გოთუა და მისი „ხდედალეულნი" მახსენდება:

„თეთრ წინწკლებად დაფშვნილი ჩქეფი ხდეს წყალი. ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე, ლოდიდან ლოდზე რძე გადმოდულს. ქაფით და გაბით. წყალი, როგორც რძე, თეგრის რუხ ტალღებს ზოლად ჩაჰყვება ერთხანს.

ბილიკი ხდეს ჩქეფს ასდევს მიეთმოეთით"...

და შემდეგ:

„ჰაერში ხდეს დაშლილი, ცვარის სიამე... ჩქერის ზათქი აყრუებს სიტყვას, დანაყილი წყლის ნაფრთქვევს სითეთრე თვალს სჭრის...

და მოსმით დავეწაფე ხდეს ქაფს...

შევსვი ხარბად და უცნაური სიზვიადე ვიგრძენი.

ძმებო, ძმებო, მეც ხომ თქვენთან ერთად ამის შემდგომ ხდედალეული ვარ! მისი დაუდგომლობით შენაპყარი და მის ხეობაში თითქოს ახალნაირად ნაშობი".

ჩვენც დავლიეთ ხდეს წყალი. ვინ იცის მერამდენედ? ჩვენც ხდედალეულნი ვართ!

იმ დღეს ხდეს წყალი პირველად დალიეს ჩვენთან ერთად მოლაშქრე ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, რომლებიც მთამსვლელებთან ერთად შეუყვნენ ხდეს ხეობას, რათა მის სათავეებთან აღმართულ უსახელო მწვერვალზე ასულიყვნენ და მისთვის „საქართველოს ოლიმპიელი" ეწოდებინათ.

რაკი ოლიმპიელები, მით უმეტეს ჩემპიონები ყოველდღიურად და, გნებავთ ყოველწლიურად არ ადიან მწვერვალებზე, გავიხსენოთ ის იშვიათი და გამორჩეული ლაშქრობები, როცა ხუთი რგოლის ვარსკვლავები მწვერვალზე ასულან.

ოლიმპიელთაგან თუ ვინმეს ამპლუა შეუცვლია და მწვერვალებისკენ გზას დადგომია, ისინი, უწინარეს ყოვლისა, სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები ყოფილან. მათ რვაათასიანებისთვისაც შეუბედიათ და თვით ევერესტზეც ასულან. ერთ-ერთი ასეთი იყო ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ფრისტაილში, იაპონელი გოტა მიური, რომელმაც ამ გაზაფხულზე დედამიწის კენწეროს მიაღწია.

ამავე გაზაფხულზე ევერესტზე ავიდა იტალიელი მანუელა დი ჩენტა. იგი გახდა პირველი იტალიელი ქალი, რომელმაც ევერესტს მიაღწია და საერთოდ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ვინც დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან გადმოიხედა.

რაკი ასეთი უნიკალური მიღწევის ავტორი გახდა, უპრიანი იქნება გავიხსენოთ მისი უმთავრესი სპორტული ტიტულები.

დი ჩენტა პროფესიონალი მოთხილამურე და ამ საქმეში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონია. დი ჩენტამ განსაკუთრებით ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოიჩინა თავი. მაშინ ეს ძმობიბლავი 31 წლის თხილამურებით მორბენალი ქალი ხუთჯერ გავიდა სტარტზე და ხუთივეჯერ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა, აქედან ორ-ორჯერ პირველ და მეორე, ხოლო ერთხელ მესამე საფეხურზე. ამდენი მედალი ლილეჰამერში არავის მოუპოვებია. მერე, ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებში თავისი მედლების კოლექცია ესტაფეტაში ბრინჯაოს ჯილდოთი გაამდიდრა. ამით მან ექვს ოლიმპიურ მედალს მოუყარა თავი. ამის გარდა, დი ჩენტას კოლექციაშია მსოფლიოს ჩემპიონატების ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

და მაინც, დი ჩენტა არ არის საერთოდ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც მწვერვალზე ასულა. ასეთი იყო თვით ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც ეტლებით რბოლაში ანტიკური ოლიმპიური თამაშების გვირგვინოსანი გახდა, ქრისტეშობამდე 334 წელს კი მცირე აზიაში სიაჩეს მასივის ერთ-ერთი მწვერვალიც დალაშქრა, რაც ისტორიაში საერთოდ მეორე ცნობილ ლაშქრობად ითვლება.

ახლა ისე რომ არ გამოგვივიდეს, შინაურ ბერს შენდობა არ აქვსო, ხდეს ხეობაში მოლაშქრე ჩვენი ოლიმპიელების მიღწევებიც გავიხსენოთ.

ერთიცა და მეორეც მოსკოვის (1980 წ.) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან. 49 წლის ვახტანგ ბლაგიძე ამასთან მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონიცაა. მასზე ოთხი წლით უმცროსი შოთა ხაბარელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, ევროპულ სარბიელზე კი სამივე ხარისხის მედლის მფლობელი გახლავთ. ორივენი მწვერვალზე სალაშქროდ პირველად არიან და ენთუზიაზმით აღსავსენი ჩანან. ერთი ეგაა, შოთა ხაბარელი თავისი განიერი მხარ-ბეჭისა და გაბარიტების გამო საძილე ტომარაში ჩაწოლისას თუ ჩაძრომისას ჯახირობს და ვერ ეტევა, ბლაგიძე კი კარავშიც ისე ციბრუტივით ტრიალებს, როგორც თავის დროზე საჭიდაო ხალიჩაზე მკვირცხლობდა.

ამ ლაშქრობაში ჩვენი თანამოკარვე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილია. მისი მთამსვლური გამოცდილება ერთი მწვერვალით შემოიფარგლება — ხდეს ხეობაში ამოსვლამდე მყინვარწვერზე საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის შოთა მირიანაშვილის მეთაურობით მოწყობილი ქართული ალპინიზმის საიუბილეო 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხუთდღიანი ლაშქრობის მონაწილეა იმ პირველამსვლელთა მარშრუტით. ამიტომ გამოცდილ მთამსვლელად მოაქვს თავი და ჩვენს ჩემპიონებს არწმუნებს, ახლა რომ ახვალთ მწვერვალზე, მთების სიყვარულით თქვენც უთუოდ მოიწამლებითო.

ახლა ჩვენი მეზობელი კარვის ბინადართ გაგაცნობთ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ შოთა მირიანაშვილი, რომელიც ნახევარი საუკუნეა, რაც მწვერვალებზე დადის. თავის დროზე იქიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. სწორედ მისი იდეა იყო, რომ ჩვენი ოლიმპიელები უსახელო მწვერვალზე ასულიყვნენ და მისთვის „საქართველოს ოლიმპიელი" ეწოდებინათ. ეს იდეა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც აიტაცეს, ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაშიც და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რომლის ტრადიციული ალპინიადის მონაწილეებსაც ხდეს ხეობაში შევუერთდით.

ალპინიადისას მისი კარვების ქალაქის ბინადართ ყოველდღიურად გემრიელ კერძებს უმზადებდა შოთა მირიანაშვილის კბილა თანამოკარვე მიტო დანგაძე. ამიტომაც ახალბედა მთამსვლელებს იგი მზარეული ეგონათ. ის კი არ იცოდნენ, რომ საქართველოში ერთ-ერთი ტიტულოვანი მთამსვლელი ემსახურებოდათ.

მირიანაშვილისა და დანგაძის თანამოკარვეა ჩვენი კოლეგა პაატა ნაცვლიშვილი. ორივეს გვეამაყება, რომ მირიანაშვილისა და დანგაძის მეთაურობით ამ ხეობაში 1974 წელს, სტუდენტობისას, ერთი უსახელო მწვერვალი დავლაშქრეთ და მას „გმირთა ვარამის". „მითრიდატეს", „ხდედალეულნისა" და სხვათა ავტორის სახელი ვუწოდეთ, ახლა კი კიდევ ერთ ნათლობაზე მივდივართ, ოღონდ ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად...

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები
(დასასრული იქნება)



ხდეს ხეობაში

ღრუბლებთან ახლოს

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი



სამოასთან ისე მოვკურცხლავ...

საღოლ მახო, ისტორიაში ხარ!

კვირას საქართველოს ნაკრები მეორე სამსოფლიოსთასო მატჩში სამოას ეთამაშება, იმ სამოას, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მე-10 ადგილზეა და რაგბის ბაღნარ ოკეანეთში ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის შემდეგ ზევიდან დაჰყურებს დანარჩენებს. სამოასთან მატჩი ის შემთხვევაა, როცა ჩვენებმა თავზეხელაღებულობას სათამაშო კლასი უნდა შეუწყონ და კუნძულელია ზორბა მორკინალებს და ფეხჩუბინ უკანახაზელებს შედუღაბებული დაცვა და სწრაფი შეტევა დაუპირისპირონ. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენების სამმეოთხედელთა თამაშს, რომელთაგან ყველაზე ფეხმარდ მალხაზ ურჯუკაშვილზე ბევრი იქნება დამოკიდებული. ურჯუკაშვილი მარტო ამის გამო როდი შევარჩიეთ საინტერვიუდ. მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსანთა ისტორიული პირველი სამი ქულა ხომ მახოსი იყო

— ვერ ვიტყვი, რომ ინგლისთან 78 ქულით წაგება კატასტროფა იყო. ბოლოს და ბოლოს ეს ინგლისი ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკას უგებს 40-50 ქულით. ჩვენსა და ავსტრალიას შორის სხვაობა ხომ არის? თუმც ისეც არ ვაიგო, თითქოს მეტის გაკეთება არ შეგვეძლო. შეგვეძლო, მაგრამ ტაქტიკამ არ გაამართლა. მორკინალებს ვერაფერს დავაბრალებ. ჩვენ, უკანახაზელებს არ გამოგვივიდა თამაში.

— ტაქტიკამ არ გაამართლაო, თქვი...

— ამაში უკანახაზის განლაგება ვიგულისხმე. ხაზის მწვრთნელმა პატრიკ ფორომ დაგვავალა, დაცვაში მჭიდროდ ვმდგარიყავით. ამით მეტი შანსი გვექნებოდა, ჯანიანი და სწრაფი ინგლისელი უკანახაზელები გაგვეჩერებინა, მაგრამ დოუსონი და უილკინსონი 15-20 მეტრიან უზუსტეს პასებს აკეთებდნენ, ჩვენ კი დაწყობას ველარ ვასწრებდით და ბურთი ნაკი გვეპარებოდა. ესეც რომ არა, სულ დაცვაში ვიდექით და მხოლოდ ოცი პროცენტი გვქონდა ბურთი. ასეთ პირობებში ინგლისი ჩვენ კი არა, ახალ ზელანდიას გაუტანს 70 ქულას.

— სამოასთან ალბათ სხვა ტაქტიკით ითამაშებთ.

— რა თქმა უნდა. მართალია, სამოა მაგარი გუნდია, მაგრამ მათთან დაცვაში ჯდომასა და ჯაჯგურს არ ვაპირებთ. სამოელებთან გაშლილ რაგბის ვითამაშებთ.

— სამოელთა მატჩები ნახეთ?

— ჯერჯერობით მხოლოდ ვიდეოფირზე. დღეს სტადიონზე მივდივართ სამოა—ურუგვაის ცოცხლად სანახავად. ამით ორივე პოტენციურ მეტოქეზე გაცილებით მეტს გავიგებთ, ვიდრე ვიდეოთი.

— სამოასთან რამდენქულიანი მარცხი იქნება საქართველოსთვის კარგი შედეგი?

— რატომ მარცხი?

— არ მითხრა ახლა, მოვიგებთო.

— რაგბი ყველაზე სამართლიანი თამაშია და ძლიერი ყოველთვის უგებს სუსტს, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევაა. სამოას ჩვენი დონის შერკინება ჰყავს, უკანა ხაზი კი ბევრით არ გვჯობია, ასე რომ, შეიძლება მოგებაზე ფიქრი.

— მარტო ფიქრი?

— რა თქმა უნდა, არა. სამოა — ურუგვაის რომ ვნახავთ, ზუსტად გვეცოდინება, რა დაუპირისპიროთ მეტოქეს. ხუთიოდე წუთის წინ ბიჭები შევიკრიბეთ და მოვილაპარაკეთ, რომ სამოას მოუგებთ. ურუგვაი ნაღდად ჩვენი დონისაა, მათი დამარცხება შესაძლებელია. თუ ეს მოვახერხეთ, თავაწეულები დავბრუნდებით საქართველოში, მაგრამ სამოას დამარცხებას უფრო დიდი მუღამი ექნება.

— ესე იგი მოვუგოთ სამოას, თამამი განცხადება არ არის?

— არა, ეს შესაძლებელია.

— ერთ ლელოს გვპირდები?

— თუ შანსი მომეცა, ისე მოვკურცხლავ, ეგებ ბენ ჯონსონს შეშურდეს.

ბაჩო სვანიძე

ვაი, ვაი ურუგვაი

ძმურად გაგიტანთ ლელოსა

გუშინ პერთში „სუბიაკო ოვალზე“ მისულმა ბორჯღალოსნებმა ორი ამბავი გაიგეს, ერთი კარგი, ერთი ცუდი. ცუდით დავიწყოთ.

ოპტიმიზმის მიუხედავად, ჩვენებს ძალიან გაუჭირდებათ ქვემძლავრ სამოას შეტევების მოგერიება. ოკეანელები შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ და თავიანთი დაბალანსებული შერკინებით და მარდი უკანა ხაზით ურუგვაის და მისი დონის გუნდებს დიახაც რომ ბდღვირს ადენენ.

ვაი, რომ ურუგვაის დონის გუნდებში ჩვენებიც გადიან, ყოველ შემთხვევაში, სამოასთან საკვირაო მატჩამდე ასეთი ზოგადი აზრი არსებობს.

სამოელებს მათებური „ჰაკა“ დასრულებული არ ჰქონდათ, მეტოქის რბევა რომ დაიწყეს. ძალიან გამოირჩა ოკეანელთა მხცოვანი შუამარბი ბრაიან ლიმა, რომელმაც ორი ლელო უთავაზა მეტოქეს და რომელიც, სხვათა შორის, თავის მეოთხე მსოფლიოს თასს თამაშობს. ლიმას არც შერკინების ფრთა, ფაასავალუ ჩამორჩა. ჯამში სამოელებმა ურუგვაის 10 ლელო აძგერეს და პრემიალური ქულაც აიღეს.

ჩვენებისთვის კარგი ამბავი კი ისაა, რომ ურუგვაი დიდი ვერაფერი ხვითო ჩანს და თავისი გარღვეული დაცვითა და უსუსური შეტევით ქართველთა ლუკმა უნდა გახდეს.

სხვა ჯგუფში მეორე ოკეანელს ტონგას ვერც „ჰაკამ“ უშველა და ვერც მებრძოლმა სულმა. ექვს ერზე გამოჯეგილმა იტალიამ აკადემიურად მოუგო სამოელთა მეზობლებს. „სკუადრა აძურას“ შემტევმა ძმებმა დენის და მანუელ დალანებმა ძმური ლელოები გაიტანეს, რაც მსოფლიოს თასზე მეოთხე შემთხვევაა. აქამდე ასეთი რამ გუშინწინ არგენტინელებმა ხუან და ნიკოლას ფერნანდეს მირანდებმა გააკეთეს. უფრო ადრე, 1991 და 1995 წლებში, ეს შოტლანდიელებმა გევინ და სკოტ ჰასტინგსებმა მოახერხეს, ხოლო 1995 წელს სხვათაშორის, იტალიას ინგლისელებმა, რორი და ტონი

დერვუდებმა გაუტანეს ძმური ლელოები.



REUTERS ბერნიდან

სამოა ამავე დღეში ბორღჯალოსნებთანაც დასჭეს ჰაკას

ამერიკელთა დამრტყმელი ჯონ ჰერკუსს მატჩის ბოლო წუთზე შუბერტის ლელო რომ გარდაესახა, აშშ ფიჯის დაამარცხებდა და სენსაციას გამოაცხობდა. თუმცა ეს არ მოხდა და ფიჯიმ თეორიულად ლოგიკური გამარჯვება მოიპოვა.

ბაჩო სვანიძე



REUTERS ბერნიდან

სამოელთა უგამოცდილესი ბრაიან ლიმა ქართველებთან შეხვედრამდე გვარიანად შეხურდა

15 ოქტომბერი

სამოა 60:13 ურუგვაი

სამოა: ვილი, ფაატაუ, ფანოლუა (რასმუსენი), ლიმა, ტაგიკაკიბაუ, ვაა (ფიუნატი), სოოლაიო (ტირელი); სეტიტი (კაპ) (ტუიავიი), ფაასავალუ, პულუ, ლაფაილი (ვილიამუ), პალეპოი, ტომული, მერედიტი (სხვალგერი), ლილამანუა (ლემანუ)

10ლ: ფაასავალუ (2), ლიმა (2), ტაგიკაკიბაუ, ფაატაუ, ლემალუ, ვილი, ფიუნატი, პალეპოი; 5გ: ვაა (3), ვილი (2)

ურუგვაი: მენჩაკა, პასტორე (ვიანა), დ. აგირე (კაპ), მენდარო (ფრეიტასი), ბალთაზარი, ამარილო, კამპომარი; კაპო, გრილე (კონტი), გუტიერესი (ბრინონი), ალზუეტა (ალვარესი), ბადო, ლემონი, ლამელასი (პერესი), სანჩესი (მაჩადო)

2ლ: კაპო, ლემონი; 1ს: დ. აგირე

C ჯგუფი

ინგლისი	1	0	0	+78	5
ს. აფრიკა	1	0	0	+66	5
სამოა	1	0	0	+48	5
საქართველო	0	0	1	-78	0
ურუგვაი	0	0	2	-114	0

ფიჯი 19:18 აშშ

ფიჯი: 1ლ: ნაიეო; 1გ: ლიტლი; 4ს: ლიტლი

აშშ: 2ლ: ვან ციილი, შუბერტი; 1გ: ჰერკუსი; 2ს: ჰერკუსი

B ჯგუფი

საფრანგეთი	1	0	0	+43	5
შოტლანდია	1	0	0	+21	5
ფიჯი	1	0	1	-42	4
აშშ	0	0	1	-1	1
იაპონია	0	0	1	-21	0

იტალია 36:12 ტონგა

იტალია: 3ლ: მ. დალანი, დ. დალანი (2); 3გ: ვაკარუა; 5ს: ვაკარუა

ტონგა: 2ლ: პეინე, ტუიფუა; 1გ: ტუიფუა

D ჯგუფი

ახ. ზელანდია	1	0	0	+63	5
უელსი	1	0	0	+31	5
იტალია	1	0	1	-39	4
ტონგა	0	0	1	-24	0
კანადა	0	0	1	-31	0



ასე იწრთობოდა ფოლადი
დენვერში ცქიტიშვილს შტანგას უმალავენ

დენვერში ახლაც არანაკლებ მძლავრი პრომოუშენია გაჩაღებული ნიკა ცქიტიშვილის იმიჯისთვის, ვიდრე შარშან ზაფხულს, როცა სრულიად უცნობი ქართველი „ნაგიტსმა“ დრაფტში მე-5 ნომრად აიყვანა. წინა კვირაში „სარბიელში“ ცქიტიშვილთან ინტერვიუს წაიკითხავდით, სადაც ის თამამად ლაპარაკობს საკუთარი მიღწევების შესახებ და ამბობს, ფიზიკურად მოვმძლავრდიო. ნიკასი გვჯერა, თანაც გუშინ, დენვერულ გაზეთ „როკი მაუნთინში“ ცქიტიშვილზე სალაღობო წერილი გამოქვეყნდა სათაურით „სკიტა“ — სულ სხვა კაცი“, რომელშიც ჟურნალისტი აარონ ლოპესი დიდად აქებს ჩვენებურს და მის კუნთებს კალიფორნიაში ახლახან გაუფროსებულ არნოლდ შვარცნეგერისას ადარებს

ეს პატარა ქანდაკება ისე მოხდენილია, რომ კალიფორნიის გუბერნატორის რეზიდენციასაც კი დაამშვენებდა.

სინამდვილეში კი იგი „დენვერის“ ბაზის ეზოში დგას. ბრინჯაოსგან გამოქანდაკებულ კულტურისტს კუნთები ბატიბუტივით აყრია და ქვემოთ წარწერა ამშვენებს: სკიტა. „დენვერის“ ფოლადის კაცი 2003.

„დენვერის“ ფორვარდმა ნიკა ცქიტიშვილმა ამ ზაფხულს იმდენი ივარჯიშა, რომ კალიფორნიის ახალგამომცხვარ გუბერნატორს, არნოლდ შვარცნეგერსაც კი შეშურდებოდა. ოთხი თვის განმავლობაში „სკიტა“ ვარჯიშობდა ექვს დღეს კვირაში და შვიდ საათს დღეში. იგი დარბოდა, სიმძიმეებს ეწეოდა, ხტუნავდა და ჯანზე მოსაყვან აბებს ყლაპავდა, ჯამში 4000 კალორიით დღეში.

„მას ვარჯიშის ნარკომანია სჭირდა ამ ზაფხულს — ამბობს „დენვერის“ ფიზმომომზადების მწვრთნელი სტივ ჰესი — ცქიტიშვილი მონდომებით და სავარჯიშო ეთიკის ნორმების დაცვით ირჯებოდა. ხანდახან, ზედმეტი რომ მოუვიდოდა, ვეუბნებოდი, კარგი „სკიტა“, გეყოფა, საკმარისია-მეთქი. იგი გაცილებით აზრიანი ბიჭია, ვიდრე აქამდე მეგონა. მას მართლა უნდა, ნაღდი კალათბურთი ითამაშოს.“

თუ არ ჩავთვლით ჰავაიზე გატარებულ ორ კვირას, ცქიტიშვილი თითქმის სულ ვარჯიშობდა, „სკიტამ“ ამ ზაფხულს „პეპსი სენთერში“ უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე ამ დარბაზის დამცველმა უშიშროების სამსახურის მუშაკებმა.

დრაფტიდან არჩევის თხუთმეტი თვის თავზე ცქიტიშვილი განვითარდა ყოველმხრივ, სიმაღლეში 215 სანტიმეტრს ასცდა და წონაშიც ბარე 30 გირვანქით მოიმატა. ყოველივე ამის შემდეგ მის ორგანიზმში ქონის მატებამ მხოლოდ ერთი პროცენტი შეადგინა.

„მისი ზომა-წონისა და სხვა მონაცემთა რიცხვები აბსოლუტურად ნორმალურია — ამბობს ჰესი — მეცხრე წელია, ნბა-ში ვარ და ჯერ არავინ მინახავს ისეთი, ცქიტიშვილისნაირად რომ მოემატოს როგორც გაბარიტებში, ასევე სისწრაფეში.“

„დენვერში“ სჯერათ, რომ ცქიტიშვილის სატრენაჟოროებსა და მოედნებზე დაღვრილი ოფლი ნაყოფს მალე გამოიღებს. 19 წლის გამოუცდელი ქართველი შარშან ლიგის გიგანტებს შეება. გარნეტმა, ნოვიცკიმ, მაკგრეიდიმ ის ცოტა დაფრთხეს. პაუ გასოლთან კი „სკიტამ“ ჩინებულად იბრძოლა იმის მიუხედავად, რომ ესპანელ ბიჭუნას 2002 წლის საუკეთესო ახალბედას პრიზი ჰქონდა მოხვეჭილი, ქართველი კი სადებიუტო სეზონში მხოლოდ 3,9 ქულასა და 2,2 მოხსნას დასჯერდა.

„ის კაცია, მაგარი ვინმეა — ამბობს ნიკაზე მისი თანაგუნდელი რაიან ბოუენი — მე მას ვუთხარი, „სკიტა“, შენ შეგიძლია, ძალიან მაგარი იყო, მაგრამ მას არ სჭირდება ამის შეხსენება.“

ცქიტიშვილს შარშან უჭირდა დრიბლინგი, ხშირად ბურთი ხელიდან უვარდებოდა და მეტოქეების მოტყუებასაც ძნელად თუ ახერხებდა. მცველებიც მას ისე ეექცეოდნენ, როგორც გაჩხინკულ ჯოხს, ზონაში არ უშვებდნენ. შედეგად ცქიტიშვილს ხშირად შორიდან უწევდა სროლა, მაგრამ აქაც ვერ ვარგოდა — მესამედსაც ვერ აგდებდა.

„წინა სეზონში „სკიტას“ დიდი მზრუნველობა სჭირდებოდა, რათა მოედანზე არ დაჩაგრულიყო — იხსენებს დენვერელთა თავკაცი ჯეფ ბზდელიკი — ახლა კი მან ძალიან მოუმატა და ნებისმიერ ორთაბრძოლაში თავს იოლად დაიცავს. დღეს მას თავისუფლად შეუძლია ფარქვეშ შესვლა. სისწრაფე პერიმეტრზე ამოსვლის საშუალებასაც აძლევს და სამქულიანებსაც უკეთესად ესვრის. ზუსტი მიზანი მას მეტ მოტივაციას აძლევს, უშიშრად შეუტიოს საშუალო დისტანციებიდან. იგი, როგორც ფიზიკური, ისე თამაშის ხარისხის მხრივ თანაბრად ვითარდება, რაც ძალიან გვახარებს.“

„სკიტა“ დიდი მონდომებით გაისარჯა პირველ საგამოფენო მატჩში „ფინიქსის“ წინააღმდეგ, 24 წუთში 9 ქულა მოაგროვა თამაშიდან ჩაგდებული ბურთების მისთვის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით.

„გასულ სეზონში ფიზიკურად დამჩაგრეს — ამბობს „სკიტა“ — სრულიად უკუნთოდ ვიყავი, ჩხირივით. ამიტომაც ზაფხულში თავი მოვიკალი და ფიზიკურად გავძლიერდი, ახლა კი ცოტა უნდა დავისვენო.“

ფიზმომზადების მწვრთნელი სტივ ჰესი: „ამ ზაფხულს სხვა ახალბედებიც ვარჯიშობდნენ „სკიტასთან“ ერთად, მაგრამ მასავით მონდომებით, არავინ. ამიტომაც „ფოლადის კაცის“ პრიზიც ქართველს ვარგუნე. მან ეს დაიმსახურა. შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ ამ ჯილდოთი მე მას ერთი მილიონი დოლარი მივეცი.“

მაჩალაძე ქალებით იწყებს

გვარიანი შესვენების შემდეგ ევროპა კვლავ გაიგონებს ქართული სასტვენის ხმას. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსაჯი ზაზა მაჩალაძე საერთაშორისო მატჩების განსასჯელად მიემგზავრება.

მაჩალაძემ საერთაშორისო არბიტრის თანრიგი ამ ზაფხულს ჰოლანდიაში მიიღო. ფიბა-ევროპის სემინარ-გამოცდებზე ზაზამ წარმატებით დასძლია ყველა ბარიერი და საპატიო წოდებასთან ერთად პრინციპულობისა და გარეგნობის გათვალისწინებით მეტსახელიც მიიღო — „კოლინა“. და აი, „კოლინა“ რუსეთში მიდის, კურსკი და მოსკოვი ქალთა ევროპის თასის მატჩებს მასპინძლობენ.

მაჩალაძის დებიუტი 30 ოქტომბერს კურსკში შედგება ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის მატჩში. „კოლინა“ შემდეგ რუსთა დედაქალაქში გადაფრინდება, სადაც 2 ნოემბერს მოსკოვის „დინამოსა“ და პორტუგალიურ „ბადერას“ შეხვედრას განსჯის.

ფიბა-ევროპიდან მოსულ დოკუმენტში არაა დაზუსტებული, მაჩალაძე მთავარი მსაჯი იქნება თუ დამხმარე, თუმცა ამ ეტაპზე ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ქართველ მსაჯს ევროპამ დაუძახა.

ირაკლი პერტაია

გთხოვთ, გამოართოთ მოგზილურები
იუბილარ პონომარიოვს საჩუქარი წაართვეს

ათიოდე დღის წინ კრეტაში დასრულებული ევროპის საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ მოჭადრაკეთა უმრავლესობამ ბერძნული კუნძულიდან პირდაპირ ბულგარულ პლოვდივს მიაშურა. 10-დან 21 ოქტომბრამდე ბულგარეთის სიდიდით მეორე ქალაქი ევროპის გუნდურ ჩემპიონატს მასპინძლობს, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობენ

ჩვენი ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი და მიხეილ მჭედლიშვილი. ქართული სამაია კი ერთია: ნანა ძაგნიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი.

წლევანდელი ვაჟთა გუნდური ჩემპიონატი რიგით მეთოთხმეტეა, ქალთა კი — მეხუთე. შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინ გათამაშებას ბათუმმაც უმასპინძლა, თუმცა მაშინ ჩვენები საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ. საერთოდ კი ქართველ მანდილოსნებს მსგავს ჩემპიონატზე ორი ჯილდო მოუგიათ. 1997 წელს ხორვატიაში ისინი ჩემპიონები გახდნენ, ხოლო 1998-ში უნგრეთში ვერცხლის პრიზიორები.

წლეულს პლოვდივს ვაჟთა 37 და ქალთა 31 ნაკრები ეწვია. სულ ჩემპიონატზე 276 სპორტსმენი თამაშობს, აქედან 156 საერთაშორისო დიდოსტატია.

მესამე ტურში ჩვენმა ვაჟებმა უნგრეთის გუნდი 3,5:0,5 დაამარცხეს.

პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი გამოცდილ უნგრელ დიდოსტატ პიტერ აჩს დაუპირისპირდა.

მე-16 სვლაზე აზმაიფარაშვილმა აჩს პაიკი შესწირა, რითაც ფაქტობრივად, მის ხელმწიფეს დაცვის კედელი მოუნგრია. დაუცველ მეფეს კი ქართველმა დიდი ძალებით შეუტია და ათიოდ სვლაში იმარჯვა კიდეც.

მეორე დაფაზე ფერენც ბერკეშის წინააღმდეგ შავი ფიგურებით მოთამაშე ბაადურ ჯობავამ დებიუტში მეფე საიმედოდ დაბინავა, მეტოქის ტერიტორიაზე შემდეგდა შეიჭრა და 37-ე სვლაზე მოიგო კიდეც ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა ყაჭეიშვილსა და რობერტ რუკის შეხვედრაში. შავებით მოთამაშე უნგრელმა მეოთხე სვლიდანვე წამოიწყო შეტევები და გაცვლით თამაშზე გადავიდა, თუმც ბოლოს მარცხი მაინც აღიარა.

მეოთხე დაფაზე ზოლტან გუიმეშმა და მერაბ გაგუნაშვილმა 50 სვლა სდიეს ერთმანეთს და საბოლოოდ ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეოთხე ტური კი წარუმატებელი გამოდგა ქართველი ვაჟებისთვის. ჩვენებმა მეზობელ აზერბაიჯანთან 1,5:2,5 დათმეს.

პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილის მეტოქე აზერბაიჯანელი ვუნდერკინდი თეიმურაზ რაჯაბოვი იყო. მეტოქეებმა დიდი ფიქრისა და წვალების გარეშე 16 სვლა ითამაშეს და ყაიმი გამოაცხადეს. ასევე ყაიმით ითამაშეს ბაადურ ჯობავამ და გიორგი ყაჭეიშვილმა. ბაადური შაჰრიაზ მამედიაროვს დაუზავდა, გიორგი კი რასულ იბრაჰიმოვს. თავისი პარტია დაძაბულ ბრძოლაში დათმო შავი ფიგურებით მოთამაშე მიხეილ მჭედლიშვილმა. მისი მძლეველი 18 წლის გადირ გუსეინოვი გამოდგა.

ოთხი ტურის შემდეგ ჩემპიონატს 11 ქულით ისრაელის ნაკრები ლიდერობს, ჩვენები მათ ქულანახევრით ჩამორჩებიან და მეთერთმეტე პოზიცია უკავიათ.

ჩვენმა მანდილოსნებმა მესამე ტურში ბულგარეთის პირველ ნაკრებთან 0,5:1,5 წაფორხილების შემდეგ, ამავე ანგარიშით გერმანელები დაამარცხეს და მეექვსე ადგილიდან ერთი საფეხურით აიწიეს.

პირველ დაფაზე ნინო ხურციძის მეტოქე ელიზაბეტ პეცი იყო.

ნინო ხურციძემ მეოთხე ტურში გერმანელი ელიზაბეტ პეცი დაამარცხა

ქართველმა პარტია დედოფლის გამბიტით დაიწყო და საკუთარი ფლანგების გამაგრებას შეუდგა მე-10 სვლაზე გერმანელმა იერიში წამოიწყო, თუმც ხურციძე მომზადებული დაუხვდა და მომხვდურს საკუთარი ტერიტორიიდან კუდით ქვა ასროლინა, თანაც ბოლომდე სდია კიდეც. გერმანელსაც ისღა დარჩენოდა, 29-ე სვლაზე ხელები აეწია.

მეორე დაფაზე მაია ლომინეიშვილი 36 სვლა ეთამაშა ნილ ჟესიცას და საბოლოოდ ყაიმით დაშორდა.

ახლა ერთ პატარა სკანდალზეც, რომელიც პირველ ტურში უკრაინა-შვედეთის მატჩისას მოხდა. როცა რუსლან პონომარიოვი ევგენი აგრესტს ეთამაშებოდა და შვედის სვლის ჯერი დადგა, უეცრად უკრაინელის ჯიბეში მობილური აწკრიალდა. ეს რა არის, ახლა მოსაგები სვლა უნდა გამეკეთებინა და ამ ზარმა დამბნია, შეიცხადა აგრესტმა. მსაჯებმაც რეგლამენტის 13.4 მუხლით — რომელიც ტურნირებზე მობილურით სარგებლობას კრძალავს — დასაჯეს უკრაინელი და წაგება ჩაუთვალეს. ასეთი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ მოეწონა მსოფლიოს ჩემპიონს და შეეცადა, სამართალი ეპოვა, იმ დღეს ოცი წელი შემისრულდა და ტელეფონით მომილოცესო. თუმცა არბიტრებმა გადაწყვეტილება უცვლელად დატოვეს და შვედმა პონომარიოვის „საჩუქარი“ შეირგო.

ლუბა გეგეჭკორი

...როცა იზამს ჟენია ჩოგბურთს ჩაწყობის სუნი აუვიდა



ევგენი კაფელნიკოვის სპორტული პატიოსნება საფრთხეშია

საჩოგბურთო თემში ჩაწყობილ მატჩებზე ალაპარაკდნენ. მიზეზი „სანდი ტელეგრაფის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციაა: ინფორმაციის თანახმად, წინა კვირაში რამდენიმე საჩოგბურთო მატჩზე „მაზავშჩიკები“ საეჭვოდ ზორბა თანხებს შესულან, რის გამოც ტოტალიზატორებს ფულის მიღება მატჩების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეუწყვეტიათ.

კონკრეტულად მხოლოდ ერთ შეხვედრას ასახელებენ — ლიონის ტურნირზე რუსი ევგენი კაფელნიკოვი წლეულს ძალზედ წარუმატებლად მიმდინარე ესპანელ ფერნანდო ვისენტეს უნდა შეხვედროდა და ტოტალიზატორებიც, ბუნებრივია, მის მოგებაში ძალიან დიდ „კუშს“ იძლეოდნენ.

ვისენტეს იენისის შემდეგ ერთი მატჩიც არ მოეგო, ლიონში ჩასვლამდე ზედიზედ თერთმეტჯერ დამარცხებულიყო პირველ წრეში და რამის გამკეთებელი თითქოს არც რუსთა უსახელოვნეს მობურთალთან ჩანდა. სწორედ ამიტომაც გაიკვირვეს ევრობუქმეიკერებმა, როცა მის საკარაუდო მოგებაზე ერთბაშად ძალზედ დიდი თანხები დაიდო.

ბუქმეიკერთა გაკვირვება სერიოზულ ეჭვში უკვე საკუთრივ მატჩის შემდეგ გადაიზარდა, რომელშიც ესპანელმა რუსს 6:2, 6:3 აჯობა.

ამ მარცხის შემდეგ კაფელნიკოვმა ფეხის ტრავმა მოიმიზეზა და საწყვილოსნო ტურნირზე გასვლას მოშუშება არჩია...

„სანდი ტელეგრაფის“ პუბლიკაციას დიდი ყაყანი და აყალმაყალი მოჰყვა. მართალია, ეიტიპის მახვში მარკ მაილზი აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით არც ერთ მეჩოგნეს ცუდად არ უბურთავია და მატჩიც თითქოს სამართლიანად ჩათამაშდა, მაგრამ ზვავი უკვე დაძრულია და ვის მოიყოლებს, ეგ ჯერ არავინ უწყის.

ისე კი, მატჩის ჩაწყობაში მხილებულ მოთამაშეს კანონის მიხედვით 100 ათასდოლარიანი ჯარიმა და სამწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, რაც, ფაქტობრივად, კარიერის დასრულებას უნდა ნიშნავდეს სპორტულ სიბერეს მიტანებული ჟენია კაფელნიკოვისთვის.

ლევან კულაურაძე

სექსანა დიდ ქალაქში მიდის

კურნიკოვა დიდი ჩოგბურთიდან დიდ სექსში გადაბარგდება

„სკაინიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსმა სექსმეჩოგნე ანა კურნიკოვამ ´ვითომდაც დიდი ჩოგბურთიდან საბოლოოდ წასვლის შესახებ განაცხადა. სააგენტო იტყობინება, რომ აწი ანა მსახიობობასა და ტელეწამყვანობას აპირებს. ამ მომენტისთვის მას თურმე ყველაზე მეტად განთქმულ სერიალში — „სექსი დიდ ქალაქში“ მონაწილეობა სურს.

სხვათა შორის, სექსანას ტელევიზიაში მუშაობა ერთხელ უკვე უცდია. თუმცა ტელებოსებმა მის უნიჭობას მხოლოდ ხუთი დღეს გაუძლეს — ეგ მით უფრო, რომ „პროფესიონალურად გამოუსადეგარი“ მეჩოგნეყოფილის სამსახური მათ 140 ათასი დოლარი დაუჯდათ. როგორც მაშინ ერთ-ერთმა ამერიკულმა გაზეთმა წაიღადავა, სექსანას ჩოგბურთის თამაში უკეთ გამოსდის, ვიდრე ტელეწამყვანობაო. მას მართლაც უამრავი რამ ეშლებოდა და ერთადერთი, რითაც მაყურებელს აამებდა, სექსუალურად შემოტკეცილი შილიფსამოსი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ანამ ჯამში მხოლოდ ექვსი შეხვედრა ითამაშა და ექვსივეში დამარცხდა. ის ამჟამად მსოფლიო რეიტინგსიის 77-ე საფეხურზე იმყოფება და, თუნდაც „სკაინიუისის“ წყარო ცდებოდეს, იმ სიღრმიდან ამომსვლელი ჩოგანი მაინც აღარ უჩანს.

NHL

რეგულარული ჩემპიონატი

ჰიტლიმ მეგობარი გამოიტირა და დამტირებლებს მადლობა გადაუხადა

დანი ჰიტლი ავარიაში დაღუპული მეგობრის დან სნაიდერის დაკრძალვაზე

14 ოქტომბერი

ატლანტა 2:2 აილენდერსი

0:1 1:1 1:0 0:0

0:1 პერიში (1), 1:1 შტეფანი (23), 1:2 კეირხსი (32), 2:2 სავარი (47)

დანი ჰიტლიმ შვებით ალბათ ახლაღა ამოისუნთქა. ჩემპიონატის დაწყებამდე შვიდიოდე დღით ადრე „ატლანტას“ ამომავალი ვარსკვლავი ავარიაში მოყვა — დიდი სიჩქარით მიაქროლებდა თავის ფერარს და ხეს შეასკდა. თავად იგი იოლად გადარჩა. იარები და მუხლის დაზიანება აბა, რა მოსატანია, როცა მის გვერდით მჯდომი თანაგუნდელი დან სნაიდერი, ექიმთა მცდელობის მიუხედავად, ექვს დღეში გარდაიცვალა.

ერთხანს ხმები დაირხა, ჰიტლი ნასვამი იჯდა საჭესთანო და თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, მკვლელობაში დაედებოდა ბრალი. შემდეგ ჰიტლის ეს ბრალდება მოეხსნა, მაგრამ... წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე იქნებოდა.

და აი, სნაიდერის დაკრძალვაზე გარდაცვლილის მშობლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ისინი ჰიტლის არ ადანაშაულებდნენ შვილის სიკვდილში. დანიმ ამის მერეღა მოითქვა სული და პირველად ალაპარაკდა: „ღრმად ვარ დამწუხრებული იმის გამო, რომ ახლო მეგობარი დავკარგე... დიდ მადლობას ვუხდი სნაიდერების ოჯახს მხარდაჭერისთვის... ვერაფრით ვივიწყებ იმ საშინელ დღეს, სულ მასზე ვფიქრობ... ისე კი, ძალიან მწადია, წლეულსვე დავუბრუნდე ყინულს“ — ეს არის ნაწყვეტები მისი ინტერვიუდან.

„ატლანტას“ ლიდერი, რომელმაც ეს განცხადება „აილენდერსთან“ მატჩამდე გააკეთა, ცდილობს, ფიზიკურადაც განიკურნოს და ფსიქოლოგიურადაც. ცხადია, მისმა სიტყვებმა თანაგუნდელები ძალიან გაამხნევა, თუმცა „ატლანტამ“ ულიდეროდაც კარგად დაიწყო და ამ მატჩშიც მესამედ მოგების შანსი ჰქონდა. ბოლო წუთზე ფრანტიშეკ კაბერლე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ უგერგილოდ დაარტყა და რიკ დიპიეტროს მოგერიება არ გასჭირვებია. მეორე მხრივ, ფრეც კარგი შედეგია მასპინძელთათვის, ვინაიდან ისინი ორჯერ აგებდნენ თამაშის მსვლელობისას.

„განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბიჭებს. ბოლო ორი კვირის განმავლობაში რაც გადავიტანეთ, ბევრს გატეხავდა, მაგრამ მათ არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ახლა ერთი სული გვაქვს, ჰიტლი როდის შემოგვიერთდება“ — თქვა ნამატჩევს გუნდის თავკაცმა ბობ ჰარტლიმ.

მონრეალი 5:1 ვაშინგტონი

2:1 3:0 0:0

1:0 დაკელი (6), 2:0 პერო (17), 2:1 ლანგი (17), 3:1 პერო (21), 4:1 ქონტალი (30), 5:1 ოდეტი (35)

„მონრეალის“ პირველი საშინაო მატჩი და მოგება იანიკ პეროს ორმა გოლმა და პასმა დააშვენა.

კალგარი 1:0 ედმონტონი

0:0 1:0 0:0

1:0 ბეტსი (31)

იქნებ ამიერიდან ისტორიის ბორბალი უკუღმა დატრიალდეს და „კალგარისა“ და „ედმონტონის“ ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყოს. „ედმონტონს“ ბოლო წლებში უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდა და „მოსისხლე“ მტერთან ჭიდილში დაკარგული ქულების გამო „ალები“ პლეი ოფს მიღმა რჩებოდნენ. სეზონში პირველი დაპირისპირების ბედი ბლეინ ბეტსის შუა თამაშში შესრულებულმა დარტყმამ გადაწყვიტა.

სამველ ღარიბიანი

აღმოსავლეთ კონფერენცია							
ატლანტიკა							
ნიუ ჯერსი	2	1	0	1	0	5:4	3
ფილადელფია	2	1	1	0	0	5:3	3
აილენდერსი	3	1	1	0	1	9:8	3
პიტსბურგი	2	0	1	0	1	3:6	1
რეინჯერსი	2	0	0	0	2	3:10	0
ჩრდილო-აღმოსავლეთი							
მონრეალი	3	2	0	0	1	11:6	4
ოტავა	2	1	0	1	0	7:5	3
ბოსტონი	3	0	2	0	1	5:9	2
ბუფალო	3	1	0	0	2	4:11	2
ტორონტო	2	0	1	0	1	2:6	1
სამხრეთ-აღმოსავლეთი							
ატლანტა	3	2	1	0	0	8:6	5
ფლორიდა	3	1	2	0	0	6:4	4
ვაშინგტონი	4	1	1	0	2	12:12	3
ტამპა	1	1	0	0	0	5:1	2
კაროლინა	3	0	1	0	2	4:7	1

დასავლეთ კონფერენცია							
ცენტრი							
კოლუმბუსი	3	2	0	0	1	9:4	4
დეტროიტი	2	2	0	0	2	6:4	4
სენტ ლუისი	2	1	0	1	0	3:3	3
ნეშვილი	2	1	0	0	1	4:4	2
ჩიკაგო	3	1	0	0	2	3:9	2
ჩრდილო-დასავლეთი							
კალგარი	3	2	0	0	1	5:6	4
ვანკუვერი	3	2	0	0	1	9:4	4
კოლორადო	2	1	0	0	1	6:2	2
მინესოტა	3	1	0	0	2	7:7	2
ედმონტონი	3	1	0	0	2	5:6	2
წყნარი ოკეანე							
დალასი	3	2	0	0	1	10:6	4
ფინიჭი	2	2	0	0	0	4:1	4
ლოს ანჯელესი	3	2	0	0	1	9:5	4
სან ხოსე	3	1	0	0	2	7:10	2
ანაჰაიმი	3	0	0	0	3	2:9	0



გერმანული ხარისხი
შუმახერი ერთია და ნაღდი

ფორმულა 1-ის კვირას დასრულებული ჩემპიონატი რიგით 54-ე იყო. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში 713 რბოლა ჩატარდა, რომლებშიც 602 პილოტმა მიიღო მონაწილეობა. მათგან 27-მა დაიდგა საჩემპიონო გვირგვინი. წლეულს არც პირად და არც გუნდურ ჩათვლაში მოულოდნელობა არ მომხდარა — პირველობა კვლავ მიხაელ შუმახერმა და უბადლო „ფერარიმ" მოიპოვეს. საფორმულო სტატისტიკა ყოველ წვრილმანს აღნუსხავს. პილოტებზე და საჯინიბოებზე ყველაფერია ცნობილი — მიღწევებიც და ჩაფლავებებიც...

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შუმახერმა შარშანდელი გამორჩეულად ხვავრიელი სეზონის შემდეგ ამჯერად მხოლოდ ერთი რეკორდი მიითვალა. ერთადერთი კი იყო, მაგრამ როგორი: 34 წლის „წითელმა ბარონმა" ლეგენდარული არგენტინელი „მაესტრო" ხუან-მანუელ ფანხიოს 46 წლის წინანდელი მიღწევა დაამხო და მეექვსედ დაისაკუთრა ჩემპიონის ტიტული.

შუმახერი ერთადერთი გერმანელი ჩემპიონია „სამეფო რბოლების" ისტორიაში. ყველაზე მეტი, რვა ტრიუმფატორი ბრიტანეთს ჰყავს, ბრაზილიას — სამი, იტალიას, ავსტრიას, ავსტრალიას, აშშ-ს და ფინეთს — ორ-ორი, არგენტინას, საფრანგეთს, კანადას, სამხრეთ აფრიკას და ახალ ზელანდიას — თითო.

წლევანდელი საჩემპიონო ბრძოლა თავიდანვე მეტად დაძაბულად წარიმართა და გამარჯვებულიც მხოლოდ დასკვნით, მე-16 ეტაპზე გამოვლინდა. მიხაელ შუმახერმა ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენს მხოლოდ ორი ქულით აჯობა. ჩემპიონს და მეორეადგილოსანს შორის უფრო ნაკლები, ერთქულიანი სხვაობა სულ ექვსჯერ აღინიშნა, ხოლო 1984 წელს ავსტრიელმა ნიკი ლაუდამ ფრანგ „პროფესორ" ალენ პროსტს სულ რაღაც ნახევარი ქულით გაუსწრო.

სარეკორდოდ დიდი უპირატესობა კი შარშან დაფიქსირდა — მიხაელი თანაფერარელ რუბენს ბარიკელოზე 67 ქულით იყო წინ.

ჩემპიონატში ათი გუნდის ოც პილოტს უნდა ერბოლა, მაგრამ მიზეზთა გამო ოთხით მეტი ვიხილეთ. ახალბედა ბრაზილიელ ანტონიო პიცონიას უხეირო, ნულქულიანი ჯვარცმით უკმაყოფილო „იაგუარის" ხელმძღვანელობამ იგი სეზონის ჩამთავრებამდე ხუთი ეტაპით ადრე გაუშვა გუნდიდან. ავარიებში დაშავებული ორი რალფი — შუმახერი („უილიამსი") და ფერმენი („ჯორდანი") შესაბამისად ერთ და ორ რბოლაში შესაკელელები შეიქნენ. ხოლო BAR-იდან მოხსნილი კანადელი მსოფლიოს ექსჩემპიონ ჟაკ ვილნევი, ადგილი ბოლო ეტაპზე იაპონელმა ტაკუმა სატომ დაიკავა.

პიცონიას გარდა უქულოდ დარჩა ჰოლანდიელი იოს ფერსტაპენიც („მინარდი").

დებიუტანტები ექვსნი იყვნენ. მათგან სამმა ქულები მოიპოვა — ბრაზილიელმა კრისტიანო და მატამ („ტოიოტა") — 10, ინგლისელებმა ფერმენმა და ფორმულის ისტორიაში ლამის ყველაზე აყლაყუდა (192სმ) ჯასტინ უილსონმა („იაგუარი") — თითო.

შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით ჩამოქვეითდა, მის ადგილზე კი აღზევდა 23 წლის ფინელი კიმი რაიკონენი, რომელიც წინა სეზონში მეექვსე იყო. საერთოდ, გასულ წელთან შედარებით შვიდმა გაიუარესა შედეგი, სამმა — გამოაკეთა. ერთ-ერთმა უხნესმა პილოტმა, 36 წლის გერმანელმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა („ზაუბერი") და 27 წლის ავსტრალიელმა მარკ ვებერმა („იაგუარი") შესაბამისად შვიდი და ექვსი ადგილით აინაცვლეს.

ფრენცენმა თავისივე განცხადებით, დაასრულა საფორმულო საქმიანობა. თუმც ბოლო დღეებში გავრცელებული ცნობით, ედი ჯორდანს მოუსურვებია ვეტერანის მიწვევა თავის გუნდში ერთი წლით.

აღსანიშნავია, რომ წლეულს მეოთხედ და ყველაზე ძირეულად შეიცვალა ქულათა დარიცხვის სისტემა. თავიდან რბოლის მომგებს რვა ქულა ერგებოდა, მომდევნო ადგილებზე გასულებს 6, 4, 3 და 2. ერთ პრემიალურ ქულას უსწრაფესი წრის ავტორი იღებდა. 60-იან წლებში გამარჯვებულს ქულა წაუმატეს, უსწრაფესის წილი კი მეექვსეადგილოსანს გადაულოცეს. 1991 წლიდან მოყოლებული პირველობა ათ ქულად ფასობს, ხოლო წლევანდელი რევოლუციური ცვლილებების შედეგად საქულე ადგილთა რაოდენობა რვამდე გაიზარდა, რათა შანსი სუსტმანქანიან მძღოლებსაც მისცემოდათ, თანაც პირველ-მეორე ადგილებს შორის თითქმის ორმაგი, ოთხქულიანი სხვაობა განახევრდა, საჩემპიონო ბრძოლა უფრო რომ დაძაბულიყო. ერთი სიტყვით, ახლა ასეა: 10, 8, 6, 5, 4, 3, 2, 1 ქულა. წინა წლებთან შედარებით მეტი მრბოლი კი მოხვდა ჩათვლის ზონაში, მაგრამ ამჟამინდელი სატურნირო ვითარება საგრძნობლად მაინც არ შეიცვლებოდა, ყოველ შემთხვევაში თითო-ოროლა საფეხურიანი გადაადგილება მხოლოდ ცხრილის ქვედა ნახევარში მოხდებოდა. საჩემპიონო ჭიდილი კი მართლაც დაიძაბა — ძველი წესით მიხაელ შუმახერი ერთი ეტაპით ადრე მოიპოვებდა ტიტულს.

წლეულს რბოლები რვა პილოტმა მოიგო, რაც ბოლო 18 წელი არ მომხდარა. პირველი დიდი პრიზები მითვალეს რაიკონენმა, იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ („ჯორდანი") და ესპანელმა ფერნანდო ალონსომ („რენო"). ეტაპის მომგებთა სია 94-მდე გაიზარდა. 70-გამარჯვებიანი რეკორდი ცხადია, მიხაელ შუმახერისაა.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს 21 წლის ალონსოს წარმატება. მისი დებიუტი შარშანწინ „მინარდიში" შედგა, გასული სეზონი კი გაუცდა, რადგან ტესტ-დრაივერად მოუხდა მუშაობა. წელს „რენოს" ბოსმა ფლავიო ბრიატორემ თავის გუნდში მიიწვია და „მომავლის ჩემპიონმაც" პატრონს იმედი არ გაუწბილა — ოთხი პოდიუმი და საბოლოო მეექვსე ადგილი ტოპსაჯინიბოების ასების შემდეგ მართლაც შთამბეჭდავი შედეგია. რაც მთავარია, ფერნანდო ფორმულის ისტორიაში ყველაზე ყმაწვილპილოტი გახდა, ვისაც რბოლა და პოული მოუგია.

ცხადია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული საბურავების მწარმოებელ ვეშაპებს, იაპონურ „ბრიჯსტოუნსა" და ფრანგულ „მიშლენს" შორის. სეზონის განმავლობაში მტრები ათასგვარ ეშმაკობაში ადანაშაულებდნენ ერთმანეთს — ხან ბორბლები დასაშვებზე განიერიაო, ხანაც სხვადასხვა სირბილის და ზედმეტად გაცვეთილ რეზინს იყენებთო... ბოლოსდაბოლოს კინკლაობა მშვიდობიანად მოგვარდა, არავინ დაუსჯიათ და კონფლიქტი ჩაცხრა. რეზინის ომი ერთი შეხედვით „ბრიჯების" სასარგებლოდ კი დასრულდა — მოგებულ ეტაპთა ანგარიშია 9:7 და ჩემპიონის „ფერარიც" კვლავ მათი ფეხსაცმლით დაქროდა, მაგრამ პოდიუმის და ქულების რაოდენობით ბევრად ჩამორჩნენ კონკურენტს — 18:30 და 216:408.

გია ახალაძე

საქართველოში ქართულადაც ჭიდაობენ

აგვისტო — სექტემბერში საქართველოს სამმა გეოგრაფიულმა ზონამ ქართული ჭიდაობის ტურნირებს უმასპინძლა. ამ ტურნირებში სამეულში მოხვედრილმა სპორტსმენებმა საქართველოს ღია ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ისინი 22-23 ოქტომბერს დიღმის საჭიდაო კომპლექსში თავიანთი ძალის კიდევ ერთხელ დამტკიცებას შეეცდებიან, ოღონდ ამჯერად გაცილებით მძაფრ კონკურენციას წააწყდებიან. დასავლეთის, ქართლისა და კახეთის ზონების პრიზიორებს თბილისის ორ ნაკრები და აჭარისა და აფხაზეთის გუნდებიც დაემატებიან და საბოლოოდ 8 წონაში 110 კაცი მოიყრის თავს.

ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაიშვილის თქმით, ჩემპიონატში თითქმის გამორიცხულია თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრებისა და კანდიდატების გამოსვლა. თუმც „ბერძენ-რომაელებისგან" განსხვავებით „თავისუფლების" წარმომადგენელი სპორტის სასახლეში დაგეგმილ აბსოლუტურ ჩემპიონატში ალბათ მიიღებენ მონაწილეობას. აბსოლუტური ჩემპიონატი საქართველოს ღია პირველობის დასრულებიდან ერთ კვირაში გაიმართება.

ომზარ შოშიტაიშვილი: — „ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ქართულისგან ძლიერ განსხვავებულია და ამ სტილის მიმდევრებს წარმატების შანსი ნაკლებად ექნებათ, თავისუფლები კი სპორტის სასახლეში აუცილებლად გამოცდიან ძალებს, ისევე როგორც ძიუდოისტები და სამბისტები. ისინი ბუნებრივია საქართველოს პირველობის ჩემპიონ-პრიზიორებს შეუერთდებიან.

ამრიგად, 1 ნოემბერს დაგეგმილ ჩემპიონატზე საქართველოს უძლიერესი ფალავნები მოიყრიან თავს. ჭიდაობის სტიმული ყველას ექნება, რადგან გათამაშდება ორი ავტომობილი. პირველს აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული მიიღებს, ხოლო მეორეს დარბაზში მყოფი ერთ-ერთი მაყურებელი. ბილეთი კი სულ რაღაც ერთი ლარი ეღირება.

ოლიმპიზმი

ოლიმპიური ცოდნა თაროზე



შოთა ხაბარელი ოლიმპიური წიგნ-ჟურნალების გამოფენაზე

ბაბრი ჯიბილაძის ფოტო

საქართველოს ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით ერთიმეორის მიყოლებით ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები, კონფერენციები, შეხვედრები...

ერთ-ერთი საინტერესო გამოფენა გუშინაც მოეწყო საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში. აქ წარმოადგინეს ჩვენს ქვეყანაში და ბოლო ათი წლის განმავლობაში დასტამბული სპორტული ლიტერატურა, მათ შორის ოლიმპიური ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა ავტორთა წიგნები, ალბომები, რამაც საბოლოო ჯამში 150-ს გადააჭარბა.

გამოფენის გახსნაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ომზარ ზენაიშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ოლიმპიური ლიტერატურის გამოცემის საქმეში დიდი მხარდაჭერა აქვთ ოლიმპიური ფონდისა და მისი პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილისგან, რამაც ამგვარი საქმიანობა უფრო გააფართოვა, ეს კი ხელს უწყობს ოლიმპიზმის პროპაგანდას.

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

REUTERS მიამიდან

ლაილა და იაია

მაიამიში მუჰამმედ ალის ასევე მოკრივე გოგო ლაილა და მისი კაცი იაიაც დასწრებიან.

სოლასამური

ასე სიასამურულად და რამე-რუმედ „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების ჯიმარდი მცველი სოლ კემბელი ჯორჯო არმანის შეუმოსავს. კუტიურიემ ლონდონის ხელოვნებათა სამეფო აკადემიაში თავისი ქმნილებების ჩვენება მოაწყო და მოდელად ბევრ სახელიან ადამიანს უხმო.



REUTERS ლონდონიდან

REUTERS ციურიხიდან

მონატრმბა

ტრავმიანობის გამო დიდი ჩოგბურთიდან ეგზომ ნაადრევად წასულ მარტინა ჰინგისს თვალი ხანდახან ისევ კორტებისკენ გაურბის. ეგ მით უფრო, თუკი ტურნირი მის მშობლიურ შვეიცარიაში იმართება... ხუთგზის სლემტიტულოსანი ვუნდერგოგოცუნა იმ დღეს ციურიხში გახლდათ, რათა იქ მიმდინარე ტურნირზე თვისტომ პატი შნიდერისთვის ექომაგა.

REUTERS ბრისბენიდან

მამლური დეპრესია

დეპრესიაში ჩავარდნილია ბრისბენული საქათმიდან ფრანგ მორაგბეთა სათილისმოდ გამოხმობილი მამალი დიომედი. ეს ამბავი პირველს თურმე ფრანგთა ჰუკერს, რაფაელ იბანესს შეუმჩნევია... როგორც ფიქრობენ, დიომედს თავისი მსუყეკურტუშიანი ბრისბენული დედლები მოენატრა. ჰოდა, კაც მამლებსაც გადაუწყვეტიათ და სექსმონატრებული კოლეგა ისევ მშობლიურ საქათმეში დაუბრუნებიათ.

მადრიდული მასტერსი

ესპანეთის სატახტო ამ კვირაში სეზონის ბოლოსწინა მასტერსტურნირს მასპინძლობს. „რეალის“ ინგლისელი და ფრანგი ვარსკვლავები — დეივიდ ბექემი და ზინედინ ზიდანი ამქრის მთავარმეჩოგნე ხუან კარლოს ფერერისა და შუშპარა მარიკოელ იუნეს ელ აინაუის სწორედ იქაურ სანახებში შეხვედრიან.

REUTERS მადრიდიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოფრიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დვალაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge